

Equality Now
A just world for women and girls.

დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში:

რატომ ვერ იცავს ევროპის ქვეყნების კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს

2019

ორგანიზაციის „თანასწორობა ახლა” (Equality Now) შესახებ

Equality Now არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია მსოფლიოს მასშტაბით ქალთა და გოგოთა უფლებების დაცვა და ხელშეწყობა, რასაც ორგანიზაცია ახორციელებს ადგილობრივი აქტივიზმისა და საერთაშორისო, რეგიონულ და ეროვნულ დონეებზე სამართლებრივი ადვოკატირებით.

ჩვენი იურისტების, აქტივისტებისა და მხარდამჭერების საერთაშორისო ქსელი აღწევს სამართლებრივ და სისტემურ ცვლილებებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის მოთხოვნით შეიმუშაოს და დანერგოს კანონები და პოლიტიკა, რომელიც დაასრულებს უთანასწორობას კანონის წინაშე, ტრეფიკინგს სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით, სექსუალურ ძალადობასა და მავნე პრაქტიკებს, როგორიცაა ბავშვთა ქორწინება და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება.

ჩვენი უახლესი კამპანიების შესახებ იხილეთ ინფორმაცია აქ: to www.equalitynow.org.

FACEBOOK: facebook.com/equalitynoworg

TWITTER: @equalitynow

INSTAGRAM: @equalitynoworg

სარჩევი

წინასიტყვაობა: ელიზაბეთ ევატი	4
მოკლე შეჯამება/მთავარი მიგნებები	5
მეთოდოლოგია	6
ზოგადი ჩარჩო	8
I. სექსუალური ძალადობის დანაშაულების არასრულყოფილი განსაზღვრებები იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას	10
ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები	10

ბ. პრობლემები ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში 13
i. გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები - მწირი განმარტებები 15
ii. დანაშაულის შემადგენელი ელემენტები 16
გ. რეკომენდაციები 19
II. მართლმსაჯულების სისტემა ძალადობის მსხვერპლ ქალთა წინააღმდეგ - გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრიმინაციული პროცედურები 19
ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები 19
ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები 23
i. სექსუალური ძალადობის არასავალდებულო გამოძიება შედეგად იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას 24
ii. სექსუალური ძალადობის სავალდებულო გამოძიება ყოველთვის არ მთავრდება სამართლიანობის აღდგენით 25
iii. გენდერული სტერეოტიპები და მეორეული ვიქტიმიზაცია - დამატებითი ბარიერები მართლმსაჯულების გზაზე 26
გ. რეკომენდაციები: 27
III. დამატებითი ზიანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მოზარდი გოგოებისათვის 28
ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები 28
ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები 29
i. სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან (statutory rape) და არასრულწლოვნის გაუპატიურება 29
ii. გატაცება ქორწინების მიზნით და იძულებითი ქორწინება 31
გ. რეკომენდაციები 33
IV. გაზრდილი მოწყვლადობა - გაზრდილი უსამართლობა სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე 33
ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები 33
ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები 35
გ. რეკომენდაციები 36
V. სამართლებრივი დაცვა მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევაში 36
ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები 36
ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები 38
გ. რეკომენდაციები 39
ცხრილები 40
მადლობა 45
დანართები 46

წინასიტყვაობა: ელიზაბეთ ევატი

ძვირფასო მეგობრებო,

ქალებს აქვთ კანონის წინაშე თანასწორობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება. თუმცა, როგორც წინამდებარე ანგარიშიც ადასტურებს, როდესაც ქალები ხდებიან გაუპატიურების მსხვერპლი, ბევრი ქვეყნის კანონმდელობა და სამართლებრივი სისტემა ვერ უზრუნველყოფს თანასწორობის დაცვას როგორც კანონმდებლობის, ისე კანონის აღსრულების მექანიზმების მეშვეობით. შედეგად, არსებული სისტემა ქალის დაცვის ნაცვლად მის დამატებით ვიქტიმიზაციას ახდენს.

წინამდებარე უმნიშვნელოვანეს ანგარიშში ორგანიზაციამ "თანასწორობა ახლა" (Equality Now) გამოააშკარავა, თუ როგორ ვერ ახდენს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა ქალთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფას. ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 ქვეყანაში არსებული მდგომარეობის ანალიზმა აჩვენა, რომ საჭიროა, მოცემული ქვეყნების ხელისუფლებამ მყარი ნაბიჯები გადადგას კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პრაქტიკის შესაცვლელად, რათა მოახდინონ სექსუალური ძალადობის პრევენცია და უზრუნველჰყონ ძალადობაგამოვლილ ქალთა უკეთესი წვდომა მართლმსაჯულებაზე.

მოცემული ანგარიში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი იქნება პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მთავრობების, საკანონმდებლო ორგანოებისა და ქალებისა და გოგოების უფლებადამცველებისათვის. ანგარიში, ასევე, წვლილს შეიტანს მსოფლიოში მიმდინარე დებატებში, რომლებიც ეხება სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას.

წინამდებარე ანგარიში გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებიდან 70 წლის თავზე. დიდი ხანია, დროა, რომ ყველა სახელმწიფომ იმოქმედოს, რათა მთელ რიგ საერთაშორისო და რეგიონულ ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტში, მათ შორის 2015 წელს მიღებულ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებში, მოცემული სიტყვები რეალობად იქცეს ქალებისა და გოგოებისთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექსუალური ძალადობისაგან დაცვის უფლების რეალიზება. გაეროს წევრმა სახელმწიფოებმა, მათ შორის, წინამდებარე ანგარიშში მიმოხილული 15 პოსტ-საბჭოთა ქვეყნის მთავრობებმა, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმის უზრუნველსაყოფად, რომ მათი კანონები სექსუალური ძალადობის შესახებ არ აძლევდნენ დამნაშავეებს პასუხისმგებლობის ან სასჯელისგან თავის არიდების შესაძლებლობას და ქალებსა და გოგოებს ჰქონდეთ სამართლებრივი დაცვის სრულყოფილი საშუალებები, როცა ირღვევა მათი სექსუალური ძალადობისგან დაცვის უფლება. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და აქტივისტები, როგორიცაა "Equality Now" და მისი პარტნიორები, მზად არიან, დახმარება აღმოუჩინონ სახელმწიფოებს ამ აუცილებელი ღონისძიებების გატარებაში.

მუდმივად უნდა ხდებოდეს გარემოს მხარდაჭერა, სადაც ქალები და გოგოები უსაფრთხოდ იგრძნობენ თავს საკუთარ სახლებში, თავიანთ თემსა და ქუჩებში და დაცული იქნებიან სექსუალური ძალადობისგან, რათა შეძლონ საკუთარი შესაძლებლობების გამოყენება და ბოლომდე მოახდინონ საკუთარი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა, სხვა ადამიანებთან თანასწორად.

ყველამ ინდივიდუალურად და კოლექტიურად უნდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი ასეთი სამყაროს შექმნაში და ამისათვის ნაბიჯები რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადავდგათ.

ელიზაბეთ ევატი

გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის ყოფილი წევრი

მოკლე შეჯამება/მთავარი მიგნებები

გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობა ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 ქვეყანაში - სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ესტონეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი - მართლმსაჯულებაზე წვდომას ფაქტობრივად უზღუდავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ქვეყნების სამართლებრივი სისტემები მთელ რიგ შესაძლებლობებს ქმნიან დამნაშავეებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ან სასჯელისგან ასარიდებლად სხვადასხვა საშუალებით. მიზეზებს შორისაა:

- სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულების შეზღუდული განსაზღვრებები;
- დამნაშავეების პასუხისმგებლობისგან ან სასჯელისაგან გათავისუფლების შესაძლებლობების არსებობა გარკვეულ შემთხვევებში;
- სექსუალური ძალადობის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროს არსებული პრობლემები, მათ შორის მოზარდი გოგოების შემთხვევაში;
- კონკრეტული ძალადობრივი ქმედებები არ არის სისხლის სამართლის წესით დასჯადი;
- ზოგადად, ქალთა და გოგონათა მიმართ დისკრიმინაციისა და მარგინალიზაციის/მოწყვლადობის სხვადასხვა ფორმების ურთიერთქმედება.

ნდობის ნაკლებობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, ასევე პატრიარქალური კულტურის შედეგად არსებული სოციალური ნორმები, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენენ მართლმსაჯულების პროცესებზე და თავად ქალებსა და გოგოებს ადანაშაულებენ განცდილ ძალადობაში, იწვევს იმას, რომ არ ხდება სექსუალური ძალადობის დანაშაულების სრული რაოდენობის აღრიცხვა. მაშინაც კი, როდესაც ქალები და გოგოები ატყობინებენ პოლიციას ძალადობის სხვადასხვა ფორმების შესახებ, ხშირად ხდება ფიზიკური ძალადობის აღრიცხვა, ხოლო სექსუალური ძალადობა ან იძულება რიგ შემთხვევებში პოლიციის მიერ არ ფიქსირდება. შედეგად, ქალების მიერ სექსუალური ძალადობის შესახებ პოლიციაში დაფიქსირებული შეტყობინებების აღრიცხვა ხშირად არ ხდება.

სექსუალურ ძალადობისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან მიმართებით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში[1] ყველაზე პრობლემურად ის დებულებები/პრაქტიკა იკვეთება, რომლებიც ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის შემთხვევაში გამოძიების დაწყებას მხოლოდ მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე (კერძო და კერძო-საჯარო სამართლებრივი დევნა) და ამ დანაშაულებზე მსხვერპლისა და მოძალადის „შერიგების" შესაძლებლობის არსებობას.

აღნიშნული საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, დაარწმუნონ ძალადობის მსხვერპლი, რომ არ შეიტანოს საჩივარი, ასევე შეწყვიტონ გამოძიება, თუკი მსხვერპლი რაიმე მიზეზით უკან გაიტანს საჩივარს. ასევე შეწყვიტონ გამოძიება, როცა ხდება მსხვერპლზე ზეწოლა და მოძალადესთან მისი იძულებითი შერიგება.

---

[1] იხილეთ ცხრილი ქვემოთ. იურისტთა საერთაშორისო კომისიამ გააკრიტიკა კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის სისტემა 2014 წლის მარტში მის მიერ მიერ წარდგენილ ანგარიშში გაეროს ადამიანის უფლებების საბჭოს პერიოდული უნივერსალური მიმოხილვის ფარგლებში ყაზახეთის შესახებ და აღნიშნა, რომ სისტემა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს აყენებს „მეორეული ვიქტიმიზაციის მნიშვნელოვანი რისკის წინაშე, რადგან დამნაშავეები ცდილობენ ,,დაარწმუნონ" მსხვერპლი, რომ დათანხმდეს კომპენსაციას ან არ შეიტანოს საჩივარი". ხელმისაწვდომია: http://www.refworld.org/docid/55b779ca4.html

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW) ასეთი შემთხვევების მაგალითები გამოავლინა ყირგიზეთში, სადაც კომიტეტმა შეისწავლა ქორწინების მიზნით გატაცების შემთხვევები. 2018 წელის სექტემბერში კომიტეტმა სამართალმდამცავ ორგანოებს მისცა მკაცრი რეკომენდაცია, რომ გაუპატიურებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლისსამართლებრივი დევნა სავალდებულო წესით (“*ex officio*”).[2]

კანონმდებლობაში სექსუალური ძალადობის დანაშაულების არსებული არასრული განსაზღვრებები დაუსჯელად ტოვებენ იძულების სხვადასხვა ფორმებით, ასევე მსხვერპლის თანხმობის გარეშე ჩადენილ სექსუალური ხასიათის აქტებს. ამასთანავე, განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნები სექსუალური ძალადობის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან მიმართებით, გამოძიების პროცესში არსებული გენდერული სტერეოტიპები და მსხვერპლის განმეორებითი ვიქტიმიზაცია კიდევ უფრო უზღუდავს სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობას. კვლევის ფარგლებში მიმოხილულ ქვეყნებში, მოზარდ გოგოებს, რომლებიც გახდნენ მოტაცების, ბავშვობის ასაკში ქორწინების ან იძულებითი ქორწინების მსხვერპლნი, მათ მიმართ ჩადენილ სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით ხშირად არ აქვთ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. ამასთანავე, იმის მიუხედავად, რომ კანონი არ გამორიცხავს ქორწინებაში გაუპატიურების ჩადენის შესაძლებლობას (marital rape), ძალიან იშვიათად ხდება აღნიშნული დანაშაულის გამოძიება და დასჯა. მოწყვლადი სტატუსის მქონე ქალებს კი კიდევ უფრო ნაკლებად ეძლევათ შესაძლებლობა, აღადგინონ სამართალი ძალადობისათვის, რომელსაც განიცდიან.

აღნიშნულ 15 ქვეყანას მემკვიდრეობით ერგო საბჭოთა პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსების დიდი ნაწილი, მათ შორის, მათი სტრუქტურა, იურიდიული ცნებები და განსაზღვრებები. შესაბამისად, ერთ ქვეყანაში განხორციელებულმა დადებითმა რეფორმამ, შესაძლოა, ხელი შეუწყოს მსგავსი რეფორმის გატარებას მეზობელ ქვეყანაში, როგორც მოხდა კიდეც ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანაში 2017 და 2018 წლებში, როდესაც ტუნისმა, იორდანიამ, ლიბანმა და პალესტინამ გააუქმეს ერთმანეთის მსგავსი კანონები გაუპატიურების ბრალდებისგან გათავისუფლების შესახებ.

იმედი გვაქვს, რომ არსებული სამართლებრივი ჩარჩოების მიმოხილვა რეგიონში მოქმედ ორგანიზაციებსა და აქტივისტებთან თანამშრომლობით შექმნის მტკიცებულებების ბაზას, რათა პარტნიორებთან ერთად შევიმუშავოთ ადვოკატირების სტრატეგიები, მოვითხოვოთ ისეთი რეფორმების გატარება, რომლებიც ეყრდნობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს და დავგეგმოთ ერთობლივი კამპანიები.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავს ყოფილი საბჭოთა კავშირის 15 ქვეყანაში არსებულ კანონმდებლობას სექსუალური ძალადობის შესახებ და აანალიზებს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, რომლებიც ხელს უწყობენ სექსუალური ძალადობის ჩამდენთა დაუსჯელობას. ანგარიშში, ასევე, მოცემულია თითოეული ქვეყნის პროფილი, რომელიც

[2] იხილეთ ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა ყირგიზეთში (CEDAW/C/OP.8/KGZ.1) ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლის მიხედვით.

შეიცავს ამონარიდებს მოქმედი კანონმდებლობიდან.[3] ანგარიში, შეძლებისდაგვარად, აღწერს, თუ როგორ ხდება მიმოხილული კანონების აღსრულება პრაქტიკაში.

ჩატარებული კვლევის ფარგლებში მოხდა შემდეგი სამი საკითხის შესწავლა:

1. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან/სასჯელისგან გათავისუფლება, რაც დაშვებულია სისხლის სამართლის კოდექსების კონკრეტული მუხლებით სექსუალური ძალადობის შესახებ;
2. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან/სასჯელისგან გათავისუფლება სისხლის სამართლის კოდექსების ზოგადი დებულებებით, რომლებიც მიესადაგება ყველა დანაშაულს, მათ შორის, სექსუალურ ძალადობას;[4]
3. კანონების აღსრულება პრაქტიკაში.

იმის შეფასებლად, თუ რამდენად ადეკვატურად მუშაობს კანონმდებლობა სექსუალური ძალადობისთვის სამართლიანობის უზრუნველსაყოფად, წინამდებარე ანგარიში, ასევე, მიმოიხილავს ამ დანაშაულების სამართლებრივ განმარტებებსა და დაბრკოლებებს, რომლებიც არსებობს კანონმდებლობაში გაუპატიურების/სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით. ანგარიში, ასევე, განიხილავს სექსუალურ ძალადობასთან კავშირში მყოფ დანაშაულებს, როგორიცაა გატაცება ქორწინების მიზნით და იძლებითი ქორწინება, იმის დასადგენად, თუ რამდენად უწყობს ამ დანაშაულთა ჩადენა ხელს დამნაშავეთა დაუსჯელობას სექსუალური ძალადობისთვის. ორგანიზაცია "Equality Now" სამომავლოდ გეგმავს ამ საკითხების სიღრმისეულ შესწავლას.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ტექსტის მიმოხილვას, რომელიც ჩატარდა 2018 წლის თებერვლიდან ივლისამდე. შესწავლილ დოკუმენტებში შედიოდა მოცემული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები და სხვა ოფიციალური იურიდიული წყაროები ორიგინალ, რუსულ და ინგლისურ ენებზე; გაეროს ოფიციალური დოკუმენტები; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა ავტორიტეტული წყაროების ანგარიშები. ორგანიზაციამ, ასევე, მოიძია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ პრაქტიკაში რამდენად გამოიყენება სისხლის სამართლის კოდექსების ზოგად ნაწილში არსებული მუხლები სექსუალური ძალადობის ჩამდენთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და/ან სასჯელისგან გასათავისუფლებლად. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა დაადასტურეს, რომ სახელმწიფოები, უმეტესწილად, არ აგროვებენ დეტალურად ჩაშლილ სტატისტიკურ მონაცემებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომელიც ეყრდნობოდა მათ გამოცდილებას, გადამწყვეტი მნიშვნელობის აღმოჩნდა იმის გამოსაკვლევად, თუ როგორ ხდება კანონმდებლობის აღსრულება პრაქტიკაში - სექსუალური

[3] ყირგიზეთმა და უკრაინამ მიიღეს ახალი კანონმდებლობა, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარს (ყირგიზეთი) და 2019 წლის 11 იანვარს (უკრაინა). ანგარიშის ბოლოს მოცემულ ცხრილებში მითითებულია ახალი კანონმდებლობა, თუმცა ანგარიშში გაანალიზებული პრაქტიკა უკავშირდება იმ კანონმდებლობას, რომელიც ძალაში იყო 2019 წლის იანვრამდე.

[4] თითოეული ქვეყნის კანონმდებლობა, ზოგადად, უშვებს პასუხისმგებლობისგან, ასევე სასჯელისგან გათავისუფლებას ნებისმიერი სახის დანაშაულისათვის მისი სიმძიმიდან გამომდინარე. სისხლის სამართლის *პასუხისმგებლობისგან* გათავისუფლება შესაძლებელია, ამოქმედებული იყოს სხვადასხვა ეტაპზე, მათ შორის გამოძიების დროს, მაგრამ ყოველთვის სასამართლო გადაწყვეტილებამდე. *სასჯელისგან* გათავისუფლება, მეორეს მხრივ, მიუთითებს, რომ დამნაშავე პასუხისმგებელია სისხლის სამართლის დანაშაულზე და რომ არსებობს სასამართლოს განაჩენი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია სასამართლოს, რომ გაათავისუფლოს დამნაშავე სასჯელისაგან გარკვეული მიზეზების საფუძველზე.

ძალადობის დანაშაულების აღრიცხვის, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯის კუთხით.

2018 წლის 19-21 ნოემბერს ორგანიზაციამ "Equality Now" მოაწყო გაერთიანებული შეხვედრა საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ კვლევაში მიმოხილული 15 ქვეყნიდან 13 ქვეყნის (უზბეკეთისა და თურქმენეთის გარდა) წარმომადგენლები - პრაქტიკოსი იურისტები და ქალთა უფლებების დამცველები. შეხვედრის დროს მონაწილეებმა განიხილეს და გააანალიზეს წინამდებარე კვლევაში მოცემული საკითხები თავიანთ ქვეყნებთან მიმართებით. შესაბამისად, ანგარიში, ასევე, შეიცავს შეხვედრის დროს გამართული დისკუსიების შედეგებსა და დამსწრეების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული კანონების აღსრულების თაობაზე.

ზოგადი ჩარჩო

სექსუალური ძალადობა უმეტესწილად ხორციელდება ქალებისა და გოგოების მიმართ, თუმცა, ბიჭები და კაცებიც ხდებიან სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი. მართლმსაჯულებაზე წვდომა ყველა ადამიანს თანასწორად უნდა ჰქონდეს. რადგან კანონების უმეტესობა ღიად დისკრიმინაციულია ქალებისა და გოგოების მიმართ და რადგანაც გაუპატიურების ჩამდენნი თითქმის ექსკლუზიურად არიან კაცები, ხოლო სექსუალურ ძალადობის მსხვერპლთა დიდი რაოდენობა არიან ქალები და გოგოები, წინამდებარე ანგარიშიც, უმეტესწილად, დაწერილია აღნიშნული მოცემულობის გათვალისწინებით. ამასთანავე, "Equality Now", ასევე, აღიარებს, რომ კაცებისა და ბიჭების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის აღრიცხვა და შესწავლა ძირითადად არ ხდება, რასაც თან ერთვის მამრობითი სქესის ადამიანების გაუპატირების შესახებ გამეფებულ პატრიარქალური შეხედულებები, რაც აზიანებს მათ უფლებას, ეფექტურად აღადგინონ სამართალი.

გენდერულად ნეიტრალური კანონმდებლობა და პოლიტიკა ზოგიერთ შემთხვევაში დისკრიმინაციულია ქალებისა და გოგონების მიმართ. მაგ. როცა სახელმწიფო ვერ ახდენს მხოლოდ ან ძირითადად ქალებისთვის საჭირო მომსახურებების მიწოდებას, მინიმუმ რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებების ჩათვლით. ასევე, კანონმდებლობაში ყოველთვის არ ხდება გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის კონკრეტული ფორმების მკაფიო აღიარება, როგორიცაა მაგ. ქვემოთ მიმოხილული მეუღლის მხრიდან გაუპატიურების შემთხვევები. ეს შესაძლოა, იწვევდეს, და დადასტურებულია კიდეც, რომ იწვევს ქალთა და გოგოთა უფლებების ცალკეულ დარღვევებზე არასათანადო რეაგირებასა და მათ დაუსჯელობას. ასეთ დარღვევებში, მსოფლიოს მასშტაბით, შედის ისეთი შემთხვევები, როგორიცაა ქალთა სასქესო ორგანოების დასახიჩრება, მეუღლის მიერ გაუპატიურება, ბავშვთა ქორწინება, სექსუალური შევიწროვება, იძულებითი ქორწინება, იძულებითი სტერილიზაცია და ა.შ.

სექსუალური ძალადობისგან დაცვის უზრუნველყოფა არამხოლოდ ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, არამედ აუცილებელი პირობაა გაეროს 2030 წლის მდგრადი განვითარების მეხუთე მიზნის მისაღწევად: "გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება", რომელსაც გაეროს ყველა წევრი სახელმწიფო აწერს ხელს და რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ვალდებულებებს:

5.1. ქალებისა და გოგოების მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა მსოფლიოში;
5.2. ქალებისა და გოგოების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა საჯარო და კერძო სივრცეში, მათ შორის ტრეფიკინგის, სექსუალური და სხვა სახის ექსპლოატაციისა;
5.3. ყველა საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა, როგორიცაა ბავშვთა ქორწინება, ადრეული და იძულებითი ქორწინება და ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება.

ამასთანავე, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების მეთექვსმეტე მიზანი გულისხმობს შემდეგ ვალდებულებებს:
16.1. ყველა ფორმის ძალადობისა და მათთან დაკავშირებული სიკვდილიანობის მაჩვენებლების მნიშვნელოვნად შემცირება მთელ მსოფლიოში;
16.2. ბავშვთა ექსპლოატაციის, ტრეფიკინგის, შევიწროებისა და მათ მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრა;
16.3. ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კანონის უზენაესობის ხელშეწყობა და ყველასთვის მართლმსაჯულებაზე თანასწორი წვდომის უზრუნველყოფა.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტები, ასევე გაეროს ქალთა ორგანიზაციის ექსპერტთა მიერ შემუშავებული გაიდლაინები, შეიცავს უფრო კონკრეტულ სტანდარტებს, რომლებიც უნდა გამოიყენონ საკანონმდებლო ორგანოებმა დასახული მიზნების მისაღწევად.

მიმოხილული ქვეყნების უმეტესობა ევროპის საბჭოს წევრები არიან. მნიშვნელოვანია, რომ ყველა სახელმწიფომ მოახდინოს სტამბოლის კონვენციის რატიფიცირება (რომელიც ღიაა როგორც წევრი, ისე არა-წევრი სახელმწიფოებისათვის) და, საჭიროებისამებრ, მოიყვანონ თავიანთი სისხლის სამართლის კოდექსები კონვენციასთან შესაბამისობაში, რათა უკეთ დაიცვან ქალები და გოგოები კანონის მეშვეობით. აღნიშნული ანგარიშის შემუშავების დროისათვის მხოლოდ ესტონეთსა და საქართველოს ჰქონდათ კონვენცია რატიფიცირებული, ხოლო სომხეთმა, ლატვიამ, მოლდოვამ და ლიეტუვამ ხელი მოაწერეს კონვენციას, მაგრამ არ მოუხდენიათ მისი რატიფიცირება. ანგარიშის ფარგლებში შესწავლილი ყველა სახელმწიფო მიერთებულია გაეროს კონვენციას ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW).

მართალია, ბოლო წლების მანძილზე ზოგიერთმა სახელმწიფომ მიიღო ზომები ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის წინააღმდეგ (მაგალითად, საქართველომ, ესტონეთმა, სომხეთმა, ყირგიზეთმა, მოლდოვამ, ლატვიამ და უკრაინამ), ქალთა მიმართ ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით, სექსუალური ძალადობა კვლავ უმეტესწილად უგულებელყოფილი რჩება ევრაზიის მასშტაბით. 2017 წელს მოხდა ოჯახში ძალადობის ზოგიერთი ფორმის დეკრიმინალიზაცია რუსეთსა და ყაზახეთში, რაც, ასევე, უარყოფითად მოქმედებს სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ნაწილი (როგორიცაა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ბელარუსი და რუსეთი) არ უზრუნველყოფენ ხელისშემწყობ გარემოს და ხშირად, აფერხებენ კიდეც სამოქალაქო საზოგადოებას, რომ აქტიურად იმუშაონ ადამიანის, მათ შორის, ქალთა უფლებებზე და ეფექტურად უზრუნველყონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები სექსუალური ძალადობის მსხვერპლთათვის. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური კლიმატი ქმნის სირთულეებს ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევაში, მათ შორის, გენდერული ძალადობის მსხვერპლთათვის, სამართლიანობის აღსადგენად.

I. სექსუალური ძალადობის დანაშაულების არასრულყოფილი განსაზღვრებები იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას

ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენციის (CEDAW) მეორე მუხლი და კონვენციის კომიტეტის 19[5] და 35[6] რეკომენდაციები ავალდებულებენ ყველა სახელმწიფოს "გააუქმონ ეროვნული სისხლის სამართლის კანონმდებლობის ყველა ისეთი დებულება, რომელიც დისკრიმინაციულია ქალების მიმართ". აღნიშნული მოთხოვნა, ასევე, ვრცელდება გაუპატიურებისა ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმის დისკრიმინაციულ განსაზღვრებებზე და საპროცესო კანონმდებლობაზე, რომელიც გამოიყენება სექსუალური ძალადობის სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯისათვის.

*ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (**სტამბოლის კონვენცია**)* შემდეგნაირად არეგულირებს სექსუალური ძალადობის, მათ შორის, გაუპატიურების, საკითხებს:

მუხლი 36 - სექსუალური ძალადობა, გაუპატიურების ჩათვლით
1) მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დანაშაულად ჩაითვალოს წინასწარგანზრახული ქცევის შემდეგი ფორმები:
ა) სხვა ადამიანის სხეულში, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის ვაგინალური, ანალური ან ორალური შეღწევის განხორციელება სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით;
ბ) ადამიანთან, მისი თანხმობის გარეშე, სექსუალური ხასიათის სხვა აქტების განხორციელება;
გ) სხვა ადამიანის იძულება, მისი თანხმობის გარეშე, მესამე პირთან განახორციელოს სექსუალური ხასიათის აქტები.

2) თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით;

3) მხარეები იღებენ ყველა საჭირო საკანონმდებლო ან სხვა ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ პირველი პუნქტის დებულებები, ასევე, გამოიყენებოდეს იმ აქტების შემთხვევაშიც,

[5] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის ზოგადი რეკომენდაცია #19, ქალთა მიმართ ძალადობა, 1992.
[6] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი, CEDAW/C/GC/35, ზოგადი რეკომენდაცია #35 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის განახლება

რომლებიც ჩადენილია ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლეების ან პარტნიორების მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობის საფუძველზე.

საერთაშორისო და რეგიონულმა ორგანოებმა შეიმუშავეს სხვადასხვა მითითებები სექსუალური ძალადობის განმარტების შესახებ, მათ შორის იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს თანხმობის საკითხის ინტერპრეტაცია.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გაუპატიურების დეფინიცია უნდა შეიცვალოს, რათა მან მოიცვას მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები, როგორც გაუპტიურების შემადგენელი ნაწილი. იუგოსლავიისა და რუანდის *ad hoc* ტრიბუნალების პრეცედენტების მიხედვით,[7] გაუპატიურებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც მოძალადე "იყენებს ძალადობას, ძალადობის მუქარას ან იძულებას" და, ასევე, "ბოროტად სარგებლობს მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებებით". სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მსხვერპლის მიერ სექსუალურ აქტზე გამოხატული თანხმობა არ უნდა იყოს მიღებული მხედველობაში, თუ არსებულმა გარემოებებმა მას წაართვა **"ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის"** მიცემის შესაძლებლობა. მსხვერპლის დუმილი ან წინააღმდეგობის არ-გაწევა არ ნიშნავს მის თანხმობას.[8]

შესაბამისად, თანხმობა არ შეიძლება, იყოს ნებაყოფლობითი, ნამდვილი ან რაიმე მნიშვნელობის მატარებელი, როდესაც თანხმობის გამოხატვა ხდება მსხვერლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მართალია, სისხლის სამართლის ტრიბუნალების მიერ შემუშავებული გაუპატიურების განმარტებები ეხება შეიარაღებული კონფლიქტების დროს გაუპატიურების შემთხვევებს, ისინი უნივერსალური მნიშვნელობისაა და რელევანტურია ყველა კონტექსტში.[9] ევროპული სასამართლოს მიხედვით, როდესაც დამნაშავემ საქმეში *მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ (M. C. v. Bulgaria)* განგებ მიიყვანა მსხვერპლი ნაკლებ დასახლებულ ადგილას, შექმნილი დამთრგუნველი გარემოებები საკმარისი აღმოჩნდა მსხვერპლის სექსუალური ავტონომიის შესალახად. სასამართლომ დაასკვნა, რომ "სხეულში ნებისმიერი სექსუალური ხასიათის შეღწევა მსხვერპლის თანხმობის გარეშე წარმოადგენს გაუპატიურებას და თანხმობის მიცემა უნდა მოხდეს ნებაყოფლობით, პიროვნების ნების თავისუფალი გამოხატვის შედეგად, გარემომცველი პირობების გათვალისწინებით."[10]

გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის (CEDAW) 35-ე ზოგად რეკომენდაცია ადგენს, რომ სექსუალური ხასიათის დანაშაულების განმარტებები, მათ შორის გაუპატიურება ჩადენილი მეუღლის და ნაცნობის/პარტნიორის (acquaintance/date rape) მხრიდან, უნდა ითვალისწინებდეს მსხვერპლის თავისუფლად გამოხატული თანხმობის არარსებობას და მხედველობაში იღებდეს მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებს.[11]

---

[7] პროკურორი აკაიესუს წინააღმდეგ, საქმის #ICTR-96-4, სასამართლოს გადაწყვეტილება 02.09,1998, 596-598.

[8] სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო "წესები პროცედურებისა და მტკიცებულებების შესახებ", გაეროს დოკუმენტი ICC-ASP/1/3 (2002), წესი 70 ა-გ.

[9] მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ, განაცხადის #39272/98, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2003 წლის 3 დეკემბერი, 163

[10] მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ. 102-107 და 163

[11] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი, CEDAW/C/GC/35, ზოგადი რეკომენდაცია #35 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესხებ, მე-19 ზოგადი რეკომენდაციის განახლება, პარ. 5

უფრო მეტიც, საქმეში *კარენ თაიაგ ვერტიდო ფილიპინების წინააღდეგ(Karen Tayag Vertido v. The Philippines),* CEDAW დაეყრდნო საერთაშორისო სასამართლოების მიერ დადგენილ სტანდარტებს, რომლებიც გულისხმობს, რომ სახელმწიფომ გაუპატიურების დეფინიციიდან უნდა ამოიღოს ძალადობის კრიტერიუმი და მის მაგივრად, შეიმუშაოს გაუპატიურების ისეთი დეფინიცია, რომელიც:

ა. ითვალისწინებს "ცალსახა და ნებაყოფლობით თანხმობას" და მტკიცებულებებს იმის თაობაზე, თუ ბრალებულმა რა ნაბიჯები გადადგა იმაში დასარწმუნებლად, რომ მსხვერპლი თანახმა იყო;

ბ. ითვალისწინებს გაუპატიურების ჩადენას "მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებში" (coercive circumstances) და ამგვარი გარემოებების ფართო სპექტრს.[12]

საქმეში *მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ (M.C. v. Bulgaria)* ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, ასევე, განაცხადა, რომ მთელი რიგი ფსიქოლოგიური ფაქტორებისა თუ მოძალადის შიშის გამო, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, განსაკუთრებით კი არასრულწლოვანი გოგოები, ხშირად წინააღმდეგობას არ უწევენ დამნაშავეებს.[13] სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ "ნებისმიერი სახის ხისტი მიდგომა სექსუალური ძალადობის სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით, როგორიცაა ყველა შემთხვევაში ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა, რისკის წინაშე აყენებს გაუპატიურების ზოგიერთი ფორმის დასჯის შესაძლებლობას და შესაბამისად, საფრთხეს უქმნის ადამიანის სექსუალური ავტონომიის ეფექტურ დაცვას...". ამდენად, სახელმწიფოებს ევალებათ, გახადონ ქმედება სისხლის სამართლის წესით დასჯადი და განახორციელონ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი დევნა მსხვერპლის „თანხმობის გარეშე ჩადენილ ნებისმიერ სექსუალურ აქტთან მიმართებით, მათ შორის იმ შემთხვევებში, როცა მსხვერპლს ფიზიკური წინააღმდეგობა არ გაუწევია."[14]

გაეროს სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობის შესახებ (The UN's Handbook for Legislation on Violence against Women) დამატებით აკონკრეტებს, რომ სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო სპექტრს (broad range of coercive circumstances) და არ უნდა აკეთებდეს განსაკუთრებულ აქცენტს ძალის გამოყენებაზე.[15]

CEDAW-ს კომიტეტი და გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, აღნიშნულ ანგარიშში მიმოხილულ ქვეყნებს აძლევს რეკომენდაციას, რომ კანონმდებლობაში შეცვალონ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის დისკრიმინაციული განმარტებები:

- **ყირგიზეთი:** 2018 წელს CEDAW-ს კომიტეტმა ქორწინების მიზნით გატაცებების შესწავლის შემდეგ სახელმწიფოს მისცა რეკომენდაცია, რომ უნდა შეიცვალოს გაუპატიურების განმარტება, რათა იგი დაეყრდნოს "თავისუფლად გამოხატული

[12] კარენ ტაიაგ ვერტიდო ფილიპინების წინააღმდეგ, CEDAW, კომუნიკაციის #/2008, გაეროს დოკუმენტი CEDAW/C/46/D/18/2008 (2010), 8.9(b)(ii).

[13] მ.ს. ბულგარეთის წინააღმდეგ, განცხადების #39272/98, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2003 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება,164

[14] იქვე., 166.

[15] სახელმძღვანელო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის თაობაზე, გაერო, 2010, ST/ESA/329, გვ. 26, p. 26, ხელმისაწვდომია: http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf

თანხმობის არარსებობას და მხედველობაში მიიღოს მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებები”[16];

- **საქართველო:** გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქართველოში 2016 წელს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ გასცა რეკომენდაცია, რომ “სისხლის სამართლის კოდექსში შესწორდეს გაუპატიურების განმარტება და მოხდეს მისი შესაბამისობაში მოყვანა გაეროს კონვენციასთან ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ და სტამბოლის კონვენციასთან”[17];
- **ესტონეთი:** 2016 წელს CEDAW-ს კომიტეტმა დასკვნით მოსაზრებებში გამოხატა წუხილი გაუპატიურების ვიწრო განმარტებასთან მიმართებით და გასცა რეკომენდაცია, რომ “შეიცვალოს სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული გაუპატიურების განმარტება და განისაზღვროს იგი, როგორც თანხმობის გარეშე ჩადენილი ნებისმიერი სექსუალური ხასიათის აქტი, დამოუკიდებლად იმისა, განიცადა თუ არა მსხვერპლმა ტკივილი, არასათანადო ფიზიკური მოპყრობა, და/ან ჯანმრთელობის დაზიანება და მუქარა”.[18]

ბ. პრობლემები ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის და/ან სასჯელისგან გათავისუფლების საფუძვლები სისხლის სამართლის კოდექსებში

მიმოხილული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩამდენი პირი შესაძლოა ყოველთვის არ მიეცეს პასუხისგებაში ან დაისაჯოს, თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაული კოდექსში განსაზღვრულია, როგორც ნაკლებად სერიოზული ან ნაკლებად მძიმე.[19] ქალებისა და გოგოების წინააღმდეგ ჩადენილი მრავალი დანაშაული ნაკლებად მძიმე/სერიოზულ დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება, შესაბამისად, მათთან მიმართებით თეორიულად შესაძლებელია, რომ ქვემოთ მოცემული დებულებები იქნეს გამოყენებული. ამგვარი დანაშაულები, ასევე, მოიცავს სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებულ დანაშაულებს, რაც, თავის მხრივ, შესაძლებლობას უქმნის დამნაშავეებს, გაექცნენ პასუხისმგებლობას.

- საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა

[16]ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა ყირგიზეთში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლის მიხედვით, 2018 წლის 21 სექტემბერი, CEDAW/C/OP.8/KGZ.1, პარ. 92

[17] დუბრავკა სიმონოვიჩის ანგარიში - გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ საქართველოში მისი ვიზიტის დროს, 2016 წლის 22 ივლისი, A/HRC/32/42/Add.3

[18] CEDAW დასკვნითი მოსაზრებები ესტონეთის მეხუთე და მეექვსე გაერთიანებული პერიოდული ანგარიშების შესახებ, 2016 წლის 18 ნოემბერი, CEDAW/C/EST/CO/5-6, პარ. 18(ბ) და 19(ბ).

[19] განხილული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების უმეტესობა სამ კატეგორიად ჰყოფს სისხლის სამართლის დანაშაულებს (ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე) მათი სერიოზულობიდან გამომდინარე. დანაშაულების სიმძიმე განისაზღვრება მათზე დაწესებული სასჯელის მიხედვით. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დანაშაული, რომელიც ისჯება 5 წლამდე პატიმრობით ითვლება ნაკლებად მძიმე დანაშაულად. დანაშაულები, რომლებიც ისჯება 5-დან 10 წლამდე პატიმრობით - მძიმე დანაშაულებია, ხოლო ის აქტები, რომლებიც ისჯება 10 წელზე მეტი დროით პატიმრობაში ყოფნით განიხილება, როგორც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულები.

როდესაც პირი სჩადის ისეთ დანაშაულს, რომელიც მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულებს, ხოლო ამ დანაშაულთან დაკავშირებული გარემოებები შემდგომ ისე იცვლება, რომ დამნაშავე აღარაა მიჩნეული, როგორც "საზოგადოებისთვის საშიში", ამ პირმა, შესაძლოა, პასუხი არ აგოს ჩადენილი დანაშაულის გამო. წლების განმავლობაში ბევრ განხილულ ქვეყანაში აღნიშნული დებულების ბოროტად გამოყენება ხდებოდა სექსუალური ძალადობის ჩამდენთა პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად, თუ ისინი მსხვერპლზე ქორწინდებოდნენ. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 134-ე მუხლი დღემდე პირდაპირ ადგენს, რომ თუ სრულწლოვანი ადამიანი (18 წელზე მეტის) იქორწინებს 16 წელზე ნაკლები ასაკის პირზე, ვისთანაც მას ჰქონდა სქესობრივი კავშირი ნავარაუდევი თანხმობის საფუძველზე, ის არ დაისჯება გაუპატიურების გამო. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში არ შეიძლება 18 წელს ქვემოთ (16 წლის ქვემოთ, გამონაკლის შემთხვევებში) ქორწინების კანონიერი რეგისტრაცია, რუსეთის ავტონომიურ რესპუბლიკებს აქვთ უფლებამოსილება, რომ დაწიონ აღნიშნული ასაკი 14 წლამდე. ეს არა მხოლოდ ათავისუფლებს დამნაშავეს სასჯელისგან ქორწინების შემთხვევაში, ასევე, ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის დაცვას. მეტიც, სასამართლოს შეუძლია აღიაროს, და პრაქტიკაში აღიარებს კიდეც, რეგისტრაციის გარეშე თანაცხოვრებას, როგორც ქორწინებას თუ მხარეებს არ მიუღწევიათ კანონით ნებადართული ასაკისათვის. აღნიშნული, კიდევ ერთხელ, შესაძლებლობას აძლევს დამნაშავეს, თავი აარიდოს სასჯელს.

- შერიგება

დანაშაულის ჩამდენი, შესაძლოა, არ მიეცეს პასუხისგებაში თუ ის „შეურიგდება'' მსხვერპლს და მოახდენს მიყენებული ზარალის "კომპენსაციას" სამართალდამცავი ორგანოების მიერ შემდგომი მოკვლევის ჩატარების გარეშე. „შერიგებას'' განხილულ სახელმწიფოებში ხშირად მიმართავენ და მისი ბოროტად გამოყენებაც ხდება, რის შედეგადაც დამნაშავეები თავს არიდებენ ნებისმიერი სახის სასჯელს სექსუალური ძალადობისათვის (იხილეთ ცხრილები 3-8). „შერიგება'' რიგ შემთხვევებში ნებადართულია კანონმდებლობის მიერ (როგორც გაუპატიურებასთან დაკავშირებით მოლდოვასა და ყაზახეთში), ან არაფორმალურად ხდება მასზე დაყრდნობა გამოძიების პროცესში გამოძიების ორგანოს მიერ, რომელიც აღნიშნულის საფუძველზე წყვეტს გამოძიებას ან სისხლისსამართლებრივ დევნას; ასევე გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როდესაც მსხვერპლს უკან გააქვს (ან ზეწოლის გამო იძულებულია, გაიტანოს) საჩივარი სექსუალური ძალადობის შესახებ დამნაშავესთან "შერიგების" საფუძველზე.

- *სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების სხვა შესაძლებლობები*, რომლებიც დაშვებულია ნაკლებად მძიმე დანაშაულებისათვის, არის შემდეგი:

  ქმედითი მონანიება - პირი, შესაძლოა, გათავისუფლდეს პასუხისმგებლობისგან, თუ ის ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს, დაეხმარება გამოძიებას ან მოახდენს მიყენებული ზიანის "კომპენსაციას" (როგორც წესი, თანხის გადახდის გზით, თუმცა "კომპენსაციაში", ასევე, შესაძლოა, შედიოდეს, მაგალითად, მსხვერპლისთვის მკურნალობის ანაზღაურება); გირაოთი გათავისუფლება - პირი შეიძლება, გათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან, თუ ის გადაიხდის გარკვეული რაოდენობის თანხას ფულადი ან უძრავი ქონების სახით და უზრუნველყოფს სათანადო ქცევას განსაზღვრული პერიოდის მანძილზე; ადმინისტრაციული პასუხისმგებლობით ჩანაცვლება - ითვალისწინებს ადმინისტრაციული ჯარიმის შეფარდებას ისეთი დანაშაულისთვის, რომელიც სისხლისსამართლებრივად დასჯადია. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსებში მოცემულმა ასეთმა დებულებებმა თეორიულად შესაძლოა, გაათავისუფლონ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენები

პასუხისმგებლობისგან, კვლევის ფარგლებში არ გამოვლენილა აღნიშნული დებულებების ბოროტად გამოყენების მნიშვნელოვანი შემთხვევები სექსუალურ ძალადობასთან კავშირში.

მაშინ, როცა ზემოთ აღწერილი დებულებები მიზნად ისახავს ნაკლებად მძიმე დანაშაულების ჩამდენთა მიმართ შემწყნარებლურ და ჰუმანურ მოპყრობას, ისინი, ასევე, ქმნიან გენდერული ნიშნით ქალებისა და გოგოების მიმართ ჩადენილი სერიოზული დანაშაულებისთვის დაუსჯელობის შესაძლებლობებს. ასეთი დანაშაულების კლასიფიცირება, როგორც ნაკლებად მძიმე/სერიოზული დანაშაულებისა, დაბრკოლებებს უქმნის სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს სამართლიანობის მიღწევაში.

i. გაუპატიურება და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმები - მწირი განმარტებები

განხილული ქვეყნების უმეტესობაში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსები არეგულირებენ სექსუალური ძალადობის დანაშაულების სამ ძირითად სახეობას:

1. გაუპატიურება;
2. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება; და
3. სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება.

2017 წელს გამოცემულ ანგარიშში *"მსოფლიოს სირცხვილი - გაუპატიურების გლობალური ეპიდემია - რატომ ვერ იცავს მსოფლიოში არსებული კანონები ქალებსა და გოგოებს სექსუალური ძალადობისაგან"* ორგანიზაციამ "Equality Now" გააანალიზა კვლევის მიგნებები გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ცენტრის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან მიმართებით. წინამდებარე ანგარიშშიც არსებული კანონების ანალიზისთვის გამოყენებულია სფეროს ექსპერტების მიერ შემუშავებული გაიდლაინები.

ორგანიზაციას „Equality Now" ღრმად სწამს, რომ მნიშვნელოვანია ისეთი დანაშაულები, როგორიცაა გაუპატიურება, რომელიც ისტორიულად გამოიყენებოდა და კვლავ გამოიყენება, როგორც ძირითადად ქალებისა და გოგოების პატრიარქალური ჩაგვრისა და სუბორდინაციის იარაღი, ითვალისწინებდეს დანაშაულის გენდერულ ხასიათს. სექსუალური ძალადობის შესახებ არსებულმა კანონებმა უნდა დაადგინონ თანაბარი სასჯელი სექსუალური ხასიათის შეღწევის ნებისმიერ აქტზე და უზუნველჰყონ ძალადობის ყველა მსხვერპლის თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე, მათი სქესის, სექსუალური ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის, ასევე, სექსუალური ძალადობის ჩადენის ხერხის მიუხედავად.

გაუპატიურება

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში გაუპატიურება კანონით განისაზღვრება, ან პრაქტიკაში აღიქმება, როგორც მამაკაცის სასქესო ორგანოს შეღწევა ვაგინაში (ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით). გაუპატიურების ასეთი განმარტება საერთოა თითქმის ყველა განხილული ქვეყნის კანონმდებლობისათვის, გარდა ესტონეთის, საქართველოსა და უკრაინისა[20], სადაც არ არის დავიწროებული მსხვერპლის გენდერი და მსხვერპლის სხეულში სექსუალური შეღწევის ფორმა (იხილეთ ცხრილი #1).

[20] **ესტონეთი:** § 141. გაუპატიურება (1) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვა სახის აქტი პირთან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ძალის გამოყენებით ან იმ მდგომარეობით სარგებლობით, რომელშიც პირს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ან სიტუაციის აღქმა...

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება

სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი ქმედების განმარტება, რომელიც მოქმედებს განხილული ქვეყნების უმეტესობაში, მსგავსია გაუპატიურების განმარტებისა იმ კუთხით, რომ იგი ითვალისწინებს ძალადობის, ძალადობის მუქარის ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას. თუმცა, ეს დანაშაული ეხება მხოლოდ ისეთ ქმედებებს, რომლებიც მამაკაცის სასქესო ორგანოს ვაგინაში შეღწევის ნაცვლად ითვალისწინებს მსხვერპლის სხვა ორგანოების პენეტრაციას მამაკაცის სასქესო ორგანოთი ან რომელიმე სხვა ორგანოთი ან საგნით, რომელიც, ასევე შესაძლებელია, ჩადენილი იყოს ერთი და იმავე სქესის ადამიანების მიერ. მუხლები გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედების შესახებ, როგორც წესი, გულისხმობენ მსგავს სასჯელებს.

სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება

სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება მოიცავს გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ზემოთ განხილული დანაშაულების ელემენტებს, მაგრამ იგი ჩადენილია მსხვერპლის შანტაჟის, ქონების განადგურების მუქარის ან ძალაუფლების ან მსხვერპლის მოძალადეზე დამოკიდებულების ბოროტად გამოყენების გზით. ეს დანაშაული განისაზღვრება, როგორც უფრო მსუბუქი დანაშაული, ვიდრე გაუპატიურება ან სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება.

ii. დანაშაულის შემადგენელი ელემენტები

ძალადობა

ძალადობა და ძალადობის მუქარა, რომლებიც გაუპატიურების ელემენტებს წარმოადგენენ, განიმარტება, როგორც მხოლოდ ფიზიკური ძალადობა ან ამგვარი ძალადობის მუქარა და არა ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის მიყენების ან იძულების ნებისმიერი სხვა ფორმა. ამასთანავე, ძალადობის მუქარა უნდა იყოს მყისიერი იმისათვის, რომ იგი ჩაითვალოს დანაშაულის ელემენტად. თუ ძალადობის მუქარა მომავლისკენ არის მიმართული, მისი სერიოზულობის მიუხედავად, იგი არ მიიღება მხედველობაში. მომავლისკენ მიმართული მუქარით ჩადენილი სექსუალური აქტი მაინც იქნება სისხლის სამართლის დანაშული,[21] მაგრამ იგი ნაკლებად მძიმე დანაშაულია, ვიდრე გაუპატიურება და

საქართველო: მუხლი 137 - გაუპატიურება

1. გაუპატიურება, ესე იგი პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით…

მუხლი 138 - სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება

1. სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება, რომელიც არ შეიცავს ამ კოდექსის 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით

უკრაინა: მუხლი 152. გაუპატიურება

1. სექსუალური ხასიათის აქტი, რომელიც გულისხმობს ვაგინალური, ანალური ან ორალური გზით ადამიანის სხეულში შეღწევას სასქესო ორგანოს ან რაიმე სხვა საგნის გამოყენებით, მსხვერპლის თანხმობის გარეშე (გაუპატიურება)...

[21] მაგალითად, **საქართველოს** სისხლის სამართლის კოდექსი იძულებას განმარტავს შემდეგნაირად:
"ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ესე იგი მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულება ან შეუსრულებლობისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება" (მუხლი 150).

ზოგჯერ სასჯელად თავისუფლების აღკვეთასაც არ ითვალისწინებს. დანაშაულებზე, რომლებიც გულისხმობს პირის იძულებას, დაამყაროს ვინმესთან სქესობრივი კავშირი/შეასრულოს სექსუალური ხასიათის ქმედებები, პასუხისმგებლობისგან/სასჯელისგან გათავისუფლების მეტი შესაძლებლობები ვრცელდება, ვიდრე გაუპატიურების შემთხვევაში.

დაზარალებულის უმწეობის გამოყენების შემთხვევაში არ არის სავალდებულო, დამნაშავემ მიმართოს ძალადობას ან ძალადობის მუქარას იმისათვის, რომ ქმედება გაუპატიურებად დაკვალიფიცირდეს. დაზარალებულის უმწეობა არ არის იგივე, რაც „მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების'' არსებობა, როგორც ეს განმარტებულია საერთაშორისო სტანდარტებით და, ფაქტობრივად, ცოტა შემთხვევაში თუ განმარტავს კანონმდებლობა მას ასე.[22] თუმცა, არსებული პრაქტიკა მსგავსია ყველა იურისდიქციაში - "უმწეო მდგომარეობა" არის ისეთი მდგომარეობა, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო, როგორიცაა ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ალკოჰოლის ან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ყოფნა და ა.შ., ხელს უშლის მსხვერპლს, გააცნობიეროს იმ ქმედებების მნიშვნელობა, რომელსაც იგი ექვემდებარება, ან წინააღმდეგობა გაუწიოს აღნიშნულ ქმედებას. მსხვერპლის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის არარსებობა, თუ ეს არ არის დაკავშირებული "უმწეობის" მდგომარეობის ამ ტრადიციულ გაგებასთან, ნიშნავს, რომ დანაშაული პრაქტიკაში, შესაძლოა, არ ჩაითვალოს გაუპატიურებად. დამატებითი ძალადობის მოთხოვნასა და "უმწეობის მდგომარეობის" შესახებ არსებულ დებულებებთან მიმართებით რეალურად კანონი იწვევს იმას, რომ ძალადობის მსხვერპლს აკისრებს პასუხისმგებლობას, გაწიოს წინააღმდეგობა იმის ნაცვლად, რომ დამნაშავეს დააკისროს პასუხისმგებლობა, არ ჩაიდინოს ძალადობა. კანონი, ასევე, მხედველობაში არ იღებს ბევრ სხვა მიზეზს, რომელთა გამოც შესაძლოა, მსხვერპლმა ვერ გასწია წინააღმდეგობა, როგორიცაა, მაგალითად, მსხვერპლის იზოლირებულ სივრცეში ყოფნა; მსხვერპლის განცდა, რომ დამატებით ზიანს მიიღებდა წინააღმდეგობის გაწევით/გაქცევით ან უბრალოდ, მსხვერპლი პარალიზებული იყო შიშით.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინების მიხედვით, გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების შესახებ არსებული კანონმდებლობა არ უნდა ითვალისწინებდეს **დამატებითი ძალის გამოყენების** მოთხოვნას იმდენად, რამდენადაც გაუპატიურება თავისთავად უკვე არის ძალადობრივი აქტი და დამატებითი ძალადობა უნდა განიხილებოდეს, როგორც დამამძიმებელი გარემოება, რაც ასევე შესაბამისობაშია სტამბოლის კონვენციასთან.

---

[22] **სომხეთი** (მუხლი. 138): "ადამიანი, რომელიც გარემოებების გამო მუდმივად ან დროებით უძლურია, რომ დამნაშავეს გაუწიოს წინააღმდეგობა ან გაიაზროს მის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედების ბუნება, ასევე ადამიანი, რომელსაც არ მიუღწევია 12 წლის ასაკისთვის."

მოლდოვა (მუხლი 171): ,,მსხვერპლის უუნარობით, დაიცვას საკუთარი თავი ან გამოხატოს ნება-სურვილი, ბოროტად სარგებლობა"

ესტონეთი (§ 141): (1) სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვა სახის აქტი პირთან მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ძალის გამოყენებით ან იმ მდგომარეობით სარგებლობით, რომელშიც პირს არ შეუძლია წინააღმდეგობის გაწევა ან სიტუაციის აღქმა... § 147. 10 წელს მიუღწეველი ადამიანის უუნარობა, აღიქვას.

ამ ნაწილში დანაშაულების მოცემული განმარტებების მიხედვით, ადამიანს არ შეუძლია, გაიაზროს, 10 წლისაა ის თუ უფრო ნაკლები ასაკის.

რუსეთი: უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება #16, პარ. 5 - როდესაც მისი ფიზიკური თუ ფსიქიკური (დემენცია ან სხვა ფსიქიკური აშლილობა, ფიზიკური შეზღუდვა, სხვა დაავადება ან ცნობიერების დაკარგვა) მდგომარეობის, ასაკის (სრულწლოვანი ან არასრულწლოვანი) ან სხვა გარემოების გამო ადამიანმა ვერ შეძლო მათ მიმართ ჩადენილი ქმედებების ბუნებისა და მნიშვნელობის აღქმა ან ვერ გაუწია დამნაშავეს წინააღმდეგობა"

ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის არარსებობა

ზემოთ განხილული საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტების საწინააღმდეგოდ, ანგარიშში გაანალიზებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მსხვერპლის ნებაყოფლობითი და ნამდვილი თანხმობის არარსებობას, როგორც სექსუალური ძალადობის დანაშაულების შემადგენელ ელემენტს (იხილეთ ცხრილი #1). რეგიონში უკრაინა პირველი ქვეყანაა, რომლის სისხლის სამართლის კოდექსში 2019 წლის 11 იანვარს შევიდა დებულება, რომლის თანახმადაც გაუპატიურებას წარმოადგენს მსხვერპლის თანხმობის გარეშე განხორციელებული სქესობრივი აქტი. თუმცა, კანონი არ ადგენს, რომ თანხმობა უნდა იყოს ნებაყოფლობითი, ნამდვილი და ნების აქტიური გამოხატულების შედეგი, რომელიც უნდა შეფასდეს არსებული გარემოებების გათვალისწინებით, როგორც ეს მითითებულია CEDAW-ს კომიტეტისა და სტამბოლის კონვენციის მიერ. აღნიშნული მიდგომის დანერგვას იწყებენ სხვა ქვეყნები, როგორიცაა, მაგალითად, შვედეთი, რადგან აცნობიერებენ, რომ სისხლის სამართლის სისტემა სათნადოდ ვერ პასუხობს გაუპატიურების დანაშაულებს.

გარდა იმისა, რომ განხილული ქვეყნების კანონები არ ითვალისწინებენ მსხვერპლის აქტიური თანხმობის არსებობას, ისინი არ მოიცავენ მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო სპექტრს, რომლებმაც, შესაძლოა, მსხვერპლის ნებისა და ქმედებების პარალიზება მოახდინოს - როგორიცაა ნდობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, მსხვერპლის დამოკიდებულება მოძალადეზე, ასევე მოტყუება. ჩამოთვლილ გარემოებებს ნაწილობრივ მოიცავს გაუპატიურებაზე უფრო ნაკლებად მძიმე დანაშაული, როგორიცაა **სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება.** გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინების თანახმად, სექსუალური ძალადობის შესახებ არსებული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს ისეთი გარემოებების ფართო ჩამონათვალს, რომელთა პირობებშიც მსხვერპლის თანხმობა სექსუალურ აქტზე არ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული. მაგალითად: სექსუალური ძალადობის განხორციელება ძალაუფლებრივ პოზიციაში მყოფი პირის მიერ, რასაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ან სკოლაში; ან სექსუალური ძალადობის განხორციელება ისეთი პირების მიერ, რომლებსაც გარკვეული პროფესიული ურთიერთობა აქვთ მსხვერპლთან, მაგალითად, ფსიქოთერაპევტი-პაციენტის ურთიერთობა. თანხმობის შესაფასებლად კანონმდებლობამ, ასევე, უნდა გაითვალისწინოს მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო ჩამონათვალი, მათ შორის დაშინება ან ტყუილი/თაღლითობა.

მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულების მუხლები მოიცავენ მსვერპლის ნების დამთრგუნველ კონკრეტულ გარემოებებს, ეს გარემოებები არ არის ამომწურავი. ამასთანავე, აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ნაკლებად მძიმეა, ვიდრე გაუპატიურება - შესაბამისად იგი ითვალისწინებს უფრო მსუბუქ სასჯელს და მეტ შესაძლებლობას იმისათვის, რომ დამნაშავემ პასუხი არ აგოს თავის ქმედებაზე. ანგარიშში განხილული 15 ქვეყნიდან 9-ში კანონი საშუალებას აძლევს ამ ქმედების ჩამდენ პირებს, დაუსჯელი დარჩნენ, თუ ისინი „შეურიგდებიან" მსხვერპლს (იხილეთ ცხრილი #1).

ზოგადად, მიმოხილული ნორმები ვერ აკმაყოფილებს სექსუალური ძალადობის საერთაშორისოდ შეთანხმებულ განმარტებებს და იმ სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია სექსუალური ძალადობისთვის სათანადო მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

გ. რეკომენდაციები

- სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება, რათა მსხვერპლისა და მოძალადის ,,შერიგება" და მოძალადის ,,საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა ვითარების შეცვლის გამო", არ გახდეს სექსუალური ძალადობის ჩამდენთა პასუხისგებაში არ მიცემის ფორმალური თუ არაფორმალური საფუძველი, საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე;
- სექსუალური ძალადობის დანაშაულთა განსაზღვრებები შესაბამისობაში მოვიდეს CEDAW-ს კომიტეტისა და სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებთან, რათა ამ დანაშაულებმა მოიცვას ყველა ფორმის სექსუალური აქტი, რომელიც ჩადენილია მსხვერპლის ნებაყოფლობითი, ნამდვილი და თავისუფალი თანხმობის გარეშე ან/და მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო ჩამონათვალის პირობებში;
- კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ სექსუალური ძალადობა განისაზღვრებოდეს, როგორც შესაბამისი სიმძიმის დანაშაული, მიუხედავად სექსუალური შეღწევის ჩადენის ფორმისა;
- სექსუალურ ძალადობის დანაშაულებისთვის (გაუპატიურება, ძალმომრეობითი მოქმედება, სექსუალური კავშირის იძულება, 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი, არასრულწლოვნის გაუპატიურება) განსაზღვრული სასჯელები უნდა შეესაბამებოდეს დანაშაულის სიმძიმეს, რისთვისაც უნდა მოხდეს სექსუალური ძალადობის დანაშაულების უფრო მძიმე დანაშაულებად კლასიფიკაცია.

II. მართლმსაჯულების სისტემა ძალადობის მსხვერპლ ქალთა წინააღმდეგ - გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრიმინაციული პროცედურები

ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

გამოძიების სავალდებულო წესით ჩატარება

CEDAW-ს კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს,[23] რომ სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები ხშირად მოქმედებენ სტერეოტიპების გავლენით სამართალწარმოების პროცესში, რაც განსაკუთრებული პრობლემაა გენდერული ნიშნით ჩადენილი დანაშაულების შემთხვევებში. ძალადობის მსხვერპლებთან მომუშავე ორგანიზაციების მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, ასეთ დანაშაულებზე არ ხდება კანონის სათანადოდ აღსრულება და/ან დაზარალებულს მოეთხოვება, თავად წამოიწყოს საქმე და უფრო მეტიც, განახორციელოს სისხლისსამართლებრივი დევნა. აღნიშნული მიუთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემაზე დიდ ზეგავლენას ახდენს სტერეოტიპული წარმოდგენები, რომლის თანახმადაც კაცები ძალაუფლების მქონე, ხოლო ქალები ოჯახის/თემის ე.წ. „ღირსების'' მატარებელი სუბიექტები არიან, რომლებიც შერცხვენილი უნდა იყვნენ ნებისმიერი სექსუალური აქტის გამო, მაშინაც კი, როცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლები არიან. საერთაშორისო და რეგიონული სტანდარტები, მათ შორის სტამბოლის კონვენცია,[24] მკაფიოდ მოითხოვს, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა სერიოზული რეაგირება მოახდინონ გენდერული ნიშნით ჩადენილ ყველა დანაშაულთან

[23] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი, CEDAW/C/GC/33, ზოგადი რეკომენდაცია #33 მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის შესახებ, 27.

[24] იხილეთ სტამბოლის კონვენციის 55-ე მუხლი ex parte და ex officio საქმის წარმოების შესახებ

მიმართებით, მათ შორის *ex officio (საჯარო)* სისხლისსამართლებრივი დევნის მეშვეობით, რათა უზრუნველყონ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობა. ვინაიდან სექსუალური ძალადობა განსაკუთრებით სერიოზულ გავლენას ახდენს მსხვერპლზე, ამ დანაშაულზე საჯარო დევნის წარმოება მიზნად ისახავს, რომ სისხლის სამართლის საქმის ხანგრძლივი პროცედურებისა და დამნაშავის პასუხისგებაში მიცემის ტვირთი სახელმწიფოს ეკისრებოდეს და არა მსხვერპლს.[25]

CEDAW-ს კომიტეტის 35-ე ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა „უზრუნველჰყონ მსხვერპლთა ეფექტური წვდომა სასამართლოებსა და ტრიბუნალებზე; უზრუნველჰყონ, რომ პასუხისმგებელმა ორგანოებმა ადეკვატური რეაგირება მოახდინონ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა შემთხვევაზე, მათ შორის დაეყრდნონ სისხლის სამართლის კანონმდებლობას და, საჭიროებისამებრ, მიმართონ ex officio სისხლისსამართლებრივ დევნას, რათა ბრალდებული გასამართლდეს მიუკერძოებლად, სამართლიანად, დროულად და სწრაფად და დაექვემდებაროს სათანადო სასჯელს."[26] სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა „უზრუნველჰყონ, რომ ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობა სავალდებულოდ არ გადამისამართდეს დავის მოგვარების ალტერნატიულ, მათ შორის მედიაციის და მორიგების, პროცედურებზე."[27]

ყირგიზეთში CEDAW-ს კომიტეტის მიერ ჩატარებულმა მოკვლევამ ქორწინების მიზნით გატაცებების შესახებ (2018) გამოავლინა, რომ სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა მიიღოს ზომები, რათა გაუპატიურებისთვის, როგორც მძიმე დანაშაულისთვის, გათვალისწინებული იყოს *ex officio* (საჯარო) სისხლისსამართლებრივი დევნა.[28]

ქალთა მიმართ ძალადობის სავალდებულო (საჯარო ინტერესის საფუძველზე) გამოძიების მნიშვნელობა ხაზგასმულია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. საქმეში *ოფუზი თურქეთის წინააღმდეგ (Opuz v. Turkey)*, სასამართლომ განაცხადა, რომ ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობიდან გამომდინარე, სახელმწიფო აღნიშნულ საქმეს უნდა მიუდგეს, როგორც საჯარო ინტერესის საგანს მაშინაც კი, თუ მსხვერპლი უკან გაიტანს თავის საჩივარს.[29] მართალია, აღნიშნული საქმე ეხება ქალის მიმართ ოჯახში ძალადობას, ეს პრინციპი რელევანტურია ქალთა მიმართ ნებისმიერი ფორმის ძალადობის, მათ შორის სექსუალურ ძალადობის, მიმართ, ჩადენილია იგი ოჯახში თუ ნებისმიერ სხვა გარემოში.

გენდერულად სენსიტიური პროცედურები

CEDAW-ს კომიტეტი აღნიშნავს, რომ გენდერულად სენსიტიური პროცედურები მნიშვნელოვანია ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. კომიტეტის თანახმად, „მართლმსაჯულებაზე ქალების წვდომის ხარისხზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სისხლის სამართლის სისტემის მიერ ქალების განმეორებითი ვიქტიმიზაცია, რაც გამოწვეულია ქალების მომატებული დაუცველობით ფსიქიკური და ფიზიკური შეურაცხყოფის, ასევე დაკავების, დაკითხვისა და პატიმრობაში

[25] იხილეთ სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში, 279, ხელმისაწვდომია: https://rm.coe.int/16800d383a

[26] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი, CEDAW/C/GC/35, ზოგადი რეკომენდაცია #35 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, 19-ე რეკომენდაციის განახლება, 44.

[27] იქვე., 45.

[28] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა ყირგიზეთში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლის მიხედვით, 2018 წლის 21 სექტემბერი, CEDAW/C/OP.8/KGZ.1, პარ. 92 ა

[29] ოფუზი თურქეთის წინააღმდეგ, განცხადების #33401/02, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2009 წლის 9 ივნისი, 139 და 145.

ყოფნის დროს გამოთქმული მუქარების მიმართ.''[30] შესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, მიიღონ „ეფექტური ზომები იმისათვის, რომ დაიცვან ქალები განმეორებითი ვიქტიმიზაციისაგან სამართალდამცავ ორგანოებთან და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის დროს"[31]. ძალადობის შემთხვევებში სტიგმატიზაციისა და მეორეული სტიგმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით, CEDAW კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს სახელმწიფოებს, გამოიყენონ „კონფიდენციალური და გენდერულად სენსიტიური მიდგომა" დაკითხვის, მტკიცებულებების მოპოვებისა და გამოძიებასთან დაკავშირებული სხვა პროცედურების დროს.[32]

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ ძალადობის მსხვერპლი ქალის წინარე სექსუალური ცხოვრების, როგორც მტკიცებულების, გამოყენება სექსუალური ძალადობის შესახებ საქმის წარმოების დროს. სტამბოლის კონვენციის თანახმად, ასეთი მტკიცებულება დაშვებული უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს აუცილებელი და მართებულია.[33]

საქმეში *ჰ.მ. ბულგარეთის წინააღმდეგ (M.P. v. Bulgaria)*, სადაც სამართალდამცავ ორგანოებს 15 წელი დასჭირდათ არასრულწლოვანი გოგოს გაუპატიურების შემთხვევის გამოსაძიებლად, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაეფექტური გამოძიება წარმოადგენდა პირის არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობას (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა).[34] ასევე, საქმეში *ი. სლოვენიის წინააღმდეგ (Y v. Slovenia)*, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ ტანჯვასა და დამცირებას, რაც სექსუალური ძალადობის მსხვერპლმა განიცადა საქმის წარმოების დროს და, დაადგინა რა ევროპული კონვენციის (მუხლი მე-8) დარღვევა, განაცხადა, რომ „ჯვარედინი დაკითხვა არ უნდა გამოიყენებოდეს მოწმის შესაშინებლად ან დასამცირებლად."[35] სახელმწიფოებმა „ხელი უნდა შეუწყონ ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ქალები შეძლებენ თავიანთი უფლებების დაცვას, [სათანადო ორგანოებს] შეატყობინებენ მათ წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების შესახებ და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში. სახელმწიფოებმა, ასევე, უნდა მიიღონ ზომები, რათა სამაგიეროს მიზღვისგან დაცვან ქალები (retaliate), რომლებიც იყენებენ სამართლებრივ საშუალებებს."[36]

ზედმეტად მკაცრი მოთხოვნების დაუშვებლობა სექსუალური ძალადობის დასადასტურებლად

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მტკიცებულების წარდგენის მკაცრი მოთხოვნები უზღუდავს ქალებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, CEDAW-ს კომიტეტის რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფოებმა „გადასინჯონ მტკიცების ტვირთის შესახებ არსებული დებულებები, რათა უზრუნველჰყონ მხარეებს შორის თანასწორობა ყველა სფეროში, სადაც ძალაუფლებრივი ურთიერთობები ქალებს ართმევენ შესაძლებლობას, მათი საქმე სამართლიანად გადაწყდეს.''[37] CEDAW-ს

[30] იქვე 17 და 48.
[31] იქვე. 51(გ).
[32] იქვე. 51(ზ).
[33] სტამბულის კონვენცია, მუხლი 54
[34] *ჰ.მ. ბულგარეთის წინააღმდეგ,*# 49669/07, ECHR 028 (2012), 2012 წლის 24 იანვარი.
[35] ი.ვ. სლოვენიის წინააღმდეგ. ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლო, 2015 წლის 28 მაისი, 108.
[36] იქვე 17, 51(დ).
[37] იქვე 17, 15(ზ).

კომიტეტი ასევე აცხადებს, რომ უნდა გადაისინჯოს მტკიცებულების წარდგენის შესახებ არსებული წესები და მათი პრაქტიკაში განხორციელება, განსაკუთრებით, ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებთან მიმართებით და სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მტკიცებულებითი მოთხოვნები არ იყოს ზედმეტად მოუქნელი, შემზღუდავი ან გენდერული სტერეოტიპებით ნაკარნახევი.[38] ამასთანავე, გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინები ითვალისწინებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა აკრძალონ მსხვერპლის მიერ სექსუალური ძალადობის შესახებ მიცემული ჩვენების მტკიცებულებითი დადასტურების (corroboration) მოთხოვნა.

სექსუალური ძალადობის საქმეებზე მორიგების დაუშვებლობა

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინების მიხედვით, სექსუალური ძალადობის საქმეებში მედიაციის გამოყენება ნებისმიერ ეტაპზე აკრძალული უნდა იყოს. იმავე გაიდლაინების თანახმად, ფინანსური დაკმაყოფილება ან ქორწინება, როგორც მორიგების ფორმები, ასევე, უნდა აიკრძალოს სექსუალური ძალადობის შემთხვევების დროს.

კარგი პრაქტიკის მაგალითები

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ ვალდებულებებთან ერთად, სახელწმიფოებმა ასევე, მხედველობაში უნდა მიიღონ გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების შესახებ არსებული კარგი პრაქტიკის სტანდარტები, როგორც ინსტრუქციები სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვისთვის. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამ სტანდარტებს შორის ერთერთი მთავარია გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ცენტრი ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის - სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობის მთავარი ელემენტები. შესაბამისი მთავარი ელემენტები მოცემულია ქვემოთ და შესაძლებელია, გამოყენებული იყოს, როგორც სახელმძღვანელო პრინციპები გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით არსებული ეროვნული კანონმდებლობის გადასასინჯად.

სექსუალური ძალადობის განმარტება და კანონმდებლობა, სხვა მოთხოვნებთან ერთად, უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- იგი არ უნდა განისაზღვრებოდეს, როგორც ღირსებასთან ან მორალთან დაკავშირებული დანაშაული;
- არ უნდა მოიცავდეს... ძალის გამოყენების კრიტერიუმს;
- უნდა ახდენდეს პირად ურთიერთობებში სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაციას;
- ბრალდებულს უნდა ეკისრებოდეს სექსუალურ კონტაქტზე მსხვერპლის თანხმობის არსებობის მტკიცების ტვირთი;
- შეიცავდეს ისეთი გარემოებების ფართო ჩამონათვალს, რომელთა დროსაც თანხმობა მხედველობაში არ მიიღება. მაგალითად, სექსუალური ძალადობის ჩადენა ძალაუფლების პოზიციაში მყოფი პირის მიერ, გამოსასწორებელ დაწესებულებაში ან სკოლაში; ან სექსუალური ძალადობის ჩადენა ისეთი პირების მიერ, რომლებსაც გარკვეული პროფესიული ურთიერთობა აქვთ მსხვერპლთან, მაგალითად, ფსიქოთერაპევტი-პაციენტის ურთიერთობა;

[38] იქვე 17, 51(თ).

- შეიცავდეს იმ გარემოებების ფართო ჩამონათვალს, რომელთა ჭრილშიც უნდა განიმარტოს მსხვერპლის თანხმობის არსებობა - მათ შორის დაშინებას, ტყუილს/თაღლითობას;
- უზრუნველყოფილი იყოს სექსუალური ძალადობის სავალდებულო წესით გამოძიება;
- აკრძალოს მსხვერპლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების ხელმეორე დადასტურების სავალდებულო მოთხოვნა (corroboration of survivor's evidence);
- აკრძალოს მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორიის, როგორც მტკიცებულების, გამოყენება სამოქალაქო ან სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, როცა ეს ისტორია არ არის კავშირში მოცემულ საქმესთან;
- აკრძალოს მედიაციის გამოყენება პროცესის ყველა ეტაპზე;
- აკრძალოს ფინანსური გარიგების ან ქორწინების, როგორც მორიგების, გამოყენება სექსუალური ძალადობის საქმის წარმოების შესაწყვეტად;
- მოითხოვოს სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოების, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებაში ჩართული პროფესიონალების ტრენინგი;
- მოითხოვოს სექსუალური ძალადობის შესახებ სტატისტიკის შეგროვება, რომელიც ჩაშლილი იქნება გენდერის, რასის, ასაკის, ძალადობის ადგილისა და ტიპის მიხედვით;[39]
- მოითხოვოს პროგრამების შემუშავება სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიმართულებით; და
- მოითხოვოს სექსუალური ძალადობის შემთხვევების შესახებ მონაცემების შეგროვება და მონიტორინგი.

გაუპატიურების შემთხვევების გამოძიებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე CEDAW-ს კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა მოლდოვას მიმართ გაცემულ დასკვნით მოსაზრებებში. 2013 წელის კომიტეტის რეკომენტაციის თანახმად, სახელმწიფომ „უნდა უზრუნველჰყოს, რომ სექსუალური ძალადობის ყველა, მათ შორის მიგრანტი ქალების მიმართ ჩადენილი, შემთხვევის გამოძიება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში, მათ შორის, შეიცვალოს გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების გამოძიების შესახებ არსებული გაიდლაინები და წესები.''[40]

ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები

სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ბარიერები ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ხშირ შემთხვევაში იწვევს ძალადობის ჩამდენთა დაუსჯელობას. სექსუალური ძალადობა იშვიათად აღწევს გამოძიების ეტაპამდე, ხოლო გამოძიების შეწყვეტა ხშირად ხდება დამნაშავის მსხვერპლთან ,,შერიგების", მსხვერპლის მიერ საჩივრის გატანის (სხვადახვა მიზეზების, მათ შორის სტიგმის, სოციალური ზეწოლის, სისტემის მიმართ უნდობლობის, შიშის, პოლიციის ზეგავლენის

[39] დეტალური სტატისტიკური მონაცემების შეგროვების აუცილებლობა მონიტორინგის მიზნით ასევე, ხაზგასმულია CEDAW კომიტეტის მიერ 35-ე ზოგად რეკომენდაციაში, პარ. 49

[40] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტი, (CEDAW), დასკვნითი მოსაზრებები მოლდოვას მეოთხე და მეხუთე პერიოდული გაერთიანებული ანგარიშების შესახებ, 2013 წლის 29 ოქტომბერი. CEDAW/C/MDA/CO/4-5, პარ. 20.დ.

გამო), დამნაშავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის საფუძველზე, ან იმის გამო, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ აღმოაჩინეს "დანაშაულის ნიშნები".

ზოგიერთ იურისდიქციაში, სრულწლოვანი პირის მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის გამოძიება იწყება მხოლოდ მსხვერპლის საჩივრის საფუძველზე (ე.წ. კერძო ან კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, იხილეთ ცხრილი #1). როგორც წესი, კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის დროს საქმე იწყება მსხვერპლის მიერ საჩივრის შეტანით, რა დროსაც მსხვერპლს აწევს მტიცებულებების მოპოვების ტვირთი. საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე დაზარალებულს შეუძლია, შეურიგდეს დამნაშავეს და შეწყვიტოს საქმის წარმოება. კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის დროსაც მსხვერპლი იწყებს საქმეს საჩივრის შეტანით, მაგრამ დევნის წარმოების პასუხისმგებლობა ძირითადად აქვს პროკურორს. ასეთ დროს, განხილული ქვეყნების უმეტესობის მიხედვით, მსხვერპლს არ შეუძლია საქმის წარმოების შეწყვეტა, როცა სისხლისსამართლებრივი დევნა უკვე დაწყებულია. თუმცა, პრაქტიკაში მსხვერპლს, როგორც წესი, შეუძლია საჩივრის უკან გატანა. რა შემთხვევებში და რა მოცულობით არის ეს შესაძლებელი, განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, მეორეს მხრივ, გულიხსმობს, რომ დანაშაულის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა არ არის დამოკიდებული მსხვერპლის საჩივარზე. კანონის თანახმად, გამოძიება უნდა დაიწყოს დანაშაულის ყოველი შეტყობინების შემდეგ და სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა განხორციელდეს საჯარო ინტერესზე დაყრდნობით, სადაც მსხვერპლის სურვილს არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მსხვერპლის უარი დამნაშავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე თეორიულად არ შეიძლება ჩაითვალოს, როგორც გამოძიების შეწყვეტის საფუძველი.

ზემოთ აღწერილი სისტემები იწვევს სექსუალური ძალადობის გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებულ დარღვევებს, რომლებიც მიმოხილულია ქვემოთ.

i. სექსუალური ძალადობის არასავალდებულო გამოძიება შედეგად იწვევს დამნაშავეთა დაუსჯელობას

კვლევის ფარგლებში შესწავლილი ქვეყნებიდან 10 ქვეყანის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სექსუალური ძალადობის სავალდებულო (საჯარო) გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივ დევნას, რაც ხელს უშლის ამ ქვეყნებში ძალადობაგამოვლილ ქალთა წვდომას მართლმსაჯულებაზე (იხილეთ ცხრილი #2). ის სამართლებრივი დებულებები, რომლებიც ყველაზე ხშირად გამოიყენება პრაქტიკაში და რომლებიც ხელს უწყობს დამნაშავეთა დაუსჯელობას, არის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს დანაშაულზე გამოძიების დაწყებას მხოლოდ მსხვერპლის ოფიციალური საჩივრის საფუძველზე, ხოლო გამოძიების დახურვას მსხვერპლის მიერ საჩივრის გატანის შედეგად. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულირება საშუალებას აძლევს სამართალდამცავ ორგანოებს, გადაარწმუნონ ქალები საჩივრის შეტანაზე ან გააჭიანურონ გამოძიება იმ მოლოდინით, რომ ამა თუ იმ მიზეზის გამო ქალი მაინც უკან გაიტანს საჩივარს. სამართლებრივი სისტემის მიერ აღნიშნულ დანაშაულებზე არასათანადო რეაგირება და სისხლისსამართლებრივი დევნის ტვირთის მსხვერპლზე გადატანა შესაძლებელს ხდის, რომ მსხვერპლი დაექვემდებაროს დამატებით წნეხს დამნაშავის, მისი ოჯახის წევრების, საკუთარი ოჯახისა თუ თემის მხრიდან, ასევე მის საქმეში ჩართული სამართალდამცავი ორგანოების, იურისტებისა და ექიმების მიერ, რათა მსხვერპლმა არ შეიტანოს ან უკან გაიხმოს საჩივარი. ხშირად,

გაუპატიურების მსხვერპლს არ აქვს შესაძლებლობა შეიტანოს კერძო საჩივარი პოსტ-ტრავმული სტრესის და/ან სათანადო იურიდიული დახმარების არარსებობის გამო. იმ საქმეების უმრავლესობა, რომლებიც კერძო საჩივრის საფუძველზე დაიწყო, მოგვიანებით წყდება.

როდესაც მსხვერპლს სურს საჩივრის უკან გატანა დამნაშავესთან "შერიგების" ან რამე სხვა მიზეზის გამო, გამომძიებლები სწრაფადვე ხურავენ საქმეს, და დამატებითი მოკვლევის ჩატარების გარეშე მიუთითებენ, რომ „დანაშაულის ნიშნები არ დაფიქსირდა.'' აღნიშნული, ასევე, შესაძლოა, მოხდეს საქმის წარმოების ნებისმიერ ეტაპზე.

ii. სექსუალური ძალადობის სავალდებულო გამოძიება ყოველთვის არ მთავრდება სამართლიანობის აღდგენით

იმ ქვეყნებში, სადაც კანონმდებლობა ადგენს, რომ სექსუალური ძალადობა ***არის*** საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის საგანი, პრაქტიკაში მისი გამოძიება და დასჯა უმეტესად მაინც კერძო სისხლისსამართლებრივი დევნის წესებით ხორციელდება - ბევრია დამოკიდებული მსხვერპლის აქტიურობაზე და მას აკისრებენ ტვირთს, წარმოადგინოს უფრო მეტი ინფორმაცია და მტკიცებულება, ვიდრე ეს ხდება იმავე სიმძიმის სხვა დანაშაულებთან მიმართებით.

პატარა ქალაქებსა და სოფლებში პოლიციის თანამშრომლები ხშირად დამნაშავეების მეგობრები ან ნათესავები არიან, რის გამოც ისინი თავს იკავებენ ან უარს ამბობენ გაუპატიურების შემთხვევების გამოძიებაზე, რადგან ეს უარყოფით გავლენას მოახდენს მათ ურთიერთობაზე დამნაშავეებთან/დამნაშავეების ოჯახებთან.

გაუპატიურების შემთხვევებზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტა ხშირად ხდება მსხვერპლისათვის უცნობი მიზეზებით, ან გამოძიება ფორმალურად რჩება ღია წლების მანძილზე, სანამ არ ამოიწურება სისხლისსამართლებრივი დევნისთვის დაწესებული ვადა, რის გამოც გამოძიება უნდა შეწყდეს. იმ ქვეყნებში, სადაც სექსუალური ძალადობის სავალდებულო წესით გამოძიება ხდება (საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა), პრაქტიკაში გამომძიებლები/პროკურორები მაინც წყვეტენ საქმეს, თუ მსხვერპლს რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია საქმის წარმოებაში აქტიური დახმარების გაწევა. ასეთ შემთხვევებში ხდება გამოძიების შეწყვეტა პროკურორის გადაწყვეტილებით, იმ საფუძველზე დაყრდნობით, რომ ქმედებაში ,,დანაშაულის ნიშნები" არ მოიძებნა. ამგვარი პრაქტიკა მსგავსია იმ ქვეყნებისა, სადაც ხდება კერძო და კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა, რადგან პრაქტიკაში ხშირად მტკიცების ტვირთი გადადის მსხვერპლზე, იმის ნაცვლად, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის მოდიოდეს პროკურორზე იმისათვის, რომ სათანადოდ გამოიძიოს დანაშაული და აღასრულოს სამართლიანობა. ეს ასევე იწვევს იმას, რომ საქმეების მხოლოდ მცირე ნაწილზე დგება განაჩენი და ხდება მათი აღრიცხვა, რაც არასათანადოდ წარმოაჩენს სექსუალური ძალადობის პრობლემის მასშტაბებს და ამცირებს იმის ალბათობას, რომ სათანადო ადამიანური ან მატერიალური რესურსი იქნება გამოყოფილი სექსუალური ძალადობის აღმოსაფხვრელად.

მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში მიმოხილული ქვეყნები არ აწარმოებენ ჩამლილ სტატისტიკას აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ცხადია, რომ ფიზიკური ძალადობის გამოყენების გარეშე ჩადენილი სექსუალური ძალადობის დანაშაულების მხოლოდ უკიდურესად მცირე ნაწილი აღწევს სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპამდე.

ადგილობრივი გამოცდილება ხაზგასმით მიუთითებს, რომ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა, დაწყებული სქესობრივი კავშირის იძულებიდან გაუპატიურების ჩათვლით, რომლებიც ჩადენილი იყო ძალადობის მუქარით ან იძულების სხვა ფორმების (და არა ფიზიკური ძალის) გამოყენებით, პრაქტიკაში უმეტესად უგულებელყოფილია სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ქვეყნებში, სადაც ამ დანაშაულებზე საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა არსებობს, ასეთ შემთხვევებში არ ხდება გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება. თუ ამგვარი საქმეები მაინც აღწევენ სასამართლო ეტაპამდე, თითქმის არ არსებობს ალბათობა იმისა, რომ პირი სასამართლომ დამნაშავედ ცნოს, რაც გამოწვეულია სასამართლოს ზედმეტად მკაცრი მოთხოვნებით გაუპატიურების დამადასტურებელ მტკიცებულებებთან მიმართებით. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არსებობს გაუპატიურების შედეგად ფიზიკური ზიანის მიყენების დამადასტურებელი მტკიცებულება, სასამართლოები ზოგჯერ ითხოვენ ბიოლოგიურ მტკიცებულებას, რომელიც ადასტურებს სქესობრივ კავშირს და თუ არ ხდება ასეთი მტკიცებულების წარდგენა, მათ გამოაქვთ ბრალდებულის გამამართლებელი გადაწყვეტილება. მართალია, დნმ-ის ტესტირება და სხვა მტკიცებულებების მოგროვება ანაზღაურდება ბრალმდებელი ორგანოების მიერ (როგორც საქართველოს შემთხვევაში, მაგალითად), ამგვარი მტკიცებულებების მოპოვება ზოგჯერ დაგვიანებით ხდება.

iii. გენდერული სტერეოტიპები და მეორეული ვიქტიმიზაცია - დამატებითი ბარიერები მართლმსაჯულების გზაზე

შესწავლილ ქვეყნებში მოქმედი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან ბევრი მიუთითებს, რომ არსებობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლების მიერ მიცემული ჩვენებებისა თუ განცხადებების მიმართ უნდობლობა სისხლის სამართლის პროცესის მანძილზე. ხშირად ეს უნდობლობა არის ქალების მიმართ სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულებების შედეგი. ქალებს ხშირად ადანაშაულებენ, რომ მათ „გამოიწვიეს'' გაუპატიურება. უფრო მეტიც, როდესაც მსხვერპლმა განიცადა ძალადობის რამდენიმე ფორმა, მაგალითად ოჯახში ძალადობის კონტექსტში, დამნაშავე, როგორც წესი, პასუხისგებაში მიეცემა ძალადობის სხვა ფორმების გამო, ხოლო სექსუალური ძალადობა ხშირად იგნორირებულია.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნების უმეტესობაში არ არსებობს გაუპატიურების გამოძიების გენდერულად მგრძნობიარე მეთოდოლოგია, რამაც საქმის მსვლელობის მანძილზე შესაძლოა, გამოიწვიოს ქალებისა და გოგოების მეორეული ვიქტიმიზაცია და ვერ მოხდეს აუცილებელი და სათანადო მტკიცებულებების მოპოვება ბრალდების დასადასტურებლად. სექსუალური ძალადობის დანაშაულის გამოძიება ხდება სისხლის სამართლის დანაშაულების გამოძიების ზოგადი მეთოდოლოგიით, რაც შედეგად სხვადასხვა ხარვეზებს იწვევს, მათ შორის, მაგალითად, ვერ გროვდება საკმარისი მტკიცებულებები ბრალის წასაყენებლად. იმდენად, რამდენადაც არ ხდება გაუპატიურების სპეციფიური ხასიათის სათანადო აღქმა და გათვალისწინება, შესაბამისად, არ ხდება მაგალითად, იმის აღიარება, რომ სექსუალური ძალადობის შედეგად მიღებულმა ტრავმამ, შესაძლოა, გამოიწვიოს მსხვერპლის მიერ არათანმიმდევრული ჩვენების მიცემა; რომ მართლმსაჯულების სისტემაში ადგილი აქვს სტერეოტიპებით განპირობებულ მიკერძოებას; ან რომ დანაშაულის ბუნებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მოწმის ჩვენებები არ არსებობდეს; და რომ გაუპატიურება ყოველთვის არ იწვევს ხილულ ფიზიკურ დაზიანებებს.[41]

[41] 2015 წლის 19 ნოემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N253ა3-15) გაუპატიურების მცდელობის შესახებ, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განაცხადა, რომ გაუპატიურება არის დანაშაული, რომელსაც, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ ეყოლება ბევრი მოწმე. შესაბამისად, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსხვერპლის

მთელს რეგიონში მდედრობითი სქესის პოლიციელებისა და გამომძიებლების რაოდენობა მცირეა. გაუპატიურების შემთხვევების გამოძიება ხშირ შემთხვევაში ტარდება კაცების მიერ, რაც შესაძლოა, იწვევდეს ქალებისა და გოგოების კიდევ უფრო მეტ ტრავმირებას და ხელს უშლის გაუპატიურების შემთხვევების პოლიციისთვის შეტყობინებას. მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების ისტორია ისევე, როგორც დამნაშავესთან მისი ურთიერთობის სტატუსი, ხშირად ხდება გულდასმით შესწავლის საკითხი საქმის წარმოების ყველა ეტაპზე და შესაბამისად, მიზანმიმართულად ან არამიზანმიმართულად, გამოიყენება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად „ღირსეული'' იყო მსხვერპლი და ნამდვილად დაზარალდა თუ არა გაუპატიურების გამო. მსხვერპლის დაბალი "შეფასება" შესაძლოა, დასრულდეს დამნაშავისთვის ლმობიერი სასჯელის დაკისრებით.

მართალია, სექსუალური ძალადობის დანაშაულების სასამართლო პროცესები ძირითადად დახურულია, ყველა ჩართული მხარის - დაზარალებულის, ბრალდებულისა და ნებისმიერი მოწმის - კონფიდენციალობის დარღვევა (მათ შორის, გამოძიების დროს დაკითხვის პროცესში) ხშირად ხდება გამოძიების ეტაპზე, განსაკუთრებით პატარა ქალაქებსა თუ სოფელში. ასევე, ხშირია მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაცია საქმის მსვლელობის მანძილზე, ხდება რა მისი გამოკითხვა რამდენიმეჯერ სხვადასხვა სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მიერ, რომლებიც ხშირად იყენებენ სექსისტურ და დამამცირებელ ენას მსხვერპლთან საუბრის დროს.

სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს, სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის დროს, ხშირად არ აქვთ წვდომა უფასო იურიდიულ დახმარებასა და სხვადასხვა სერვისებზე, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სოციალურ მხარდაჭერასა და უსაფრთხო საცხოვრისზე. ხანგრძლივ და სტიგმატიზაციის გამომწვევ სისხლის სამართლის პროცედურებთან ერთად, აღნიშნული ფაქტორები ხშირად უბიძგებს მსხვერპლებს, თავი შეიკავონ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვისგან სექსუალური ძალადობის შემთხვევაში.

გ. რეკომენდაციები:

სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება

- მოხდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის გადასინჯვა, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს სექსუალური ძალადობის დანაშაულების (გაუპატიურება, სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის მოქმედების იძულება) გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა სავალდებულო წესით (ex officio, საჯარო სისხლისსამართებრივი დევნა). შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსებში უნდა გაუქმდეს ამ დანაშაულებისთვის კერძო ან კერძო-საჯარო დევნის შესაძლებლობა (ეხება აზერბაიჯანს, ბელარუსს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ლიეტუვას, რუსეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთს, უკრაინასა და უზბეკეთს);

განცხადების თანმიმდევრულობის, სხვა მტკიცებულებებთან მისი კავშირის და მოტივის არარსებობის შეფასება, რამაც, შესაძლოა, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს სასამართლოს მიერ მსხვერპლის დამაჯერებლობის ნდობა (პარ. 3).

პოლიტიკისა და პრაქტიკის გაუმჯობესება

- ყველა ფორმის სექსუალური ძალადობის დანაშაულები უნდა განიხილებოდეს, როგორც საჯარო ინტერესის საკითხი (გამოძიების მიზნებისთვის), რომლის გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა პრიორიტეტულად უნდა მოხდეს;
- მოხდეს სექსუალური ძალადობის დანაშაულების სპეციფიური ბუნების აღიარება და გენდერულად სენსიტიური მეთოდოლოგიის გამოყენება მათი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დროს. მეთოდოლოგია არ უნდა ეფუძნებოდეს სტერეოტიპებს, მათ შორის დაკავშირებულს შეზღუდულ შესაძლებლობასთან, ეთნიკურ კუთვნილებასა თუ სექსუალურ ორიენტაციასთან და აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება უნდა ხდებოდეს მტკიცებულებათა მოპოვებისა და მოწმის დაკითხვის პროცესშიც;
- მსხვერპლის უარი ჩვენების მიცემაზე ან ჩვენების შეცვლა დამნაშავის სასარგებლოდ არ უნდა გახდეს საფუძველი საგამოძიებო ორგანოს მიერ ,,დანაშაულის ნიშნების არარსებობის" შესახებ დასკვნის გაკეთებისთვის და აღნიშნულის საფუძველზე გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისათვის (ეხება ქვეყნებს, სადაც მოქმედებს საჯარო სისხლისსამართლებრივი დევნა სექსუალური ძალადობისთვის);
- სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე გაუქმდეს მტკიცებულების წარდგენის ზედმეტად მკაცრი მოთხოვნები, რომლებიც პრაქტიკაში გამოიყენება პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან მისთვის გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად (მაგალითად, მსხვერპლის სხეულში შეღწევის ან მსხვერპლის მიერ მოძალადისთვის წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების მოთხოვნა);
- მოხდეს სექსუალური ძალადობის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებთან ყველა მიმართვის ოფიციალური აღრიცხვა და ჩაშლილი სტატისტიკის წარმოება სქესის, ასაკისა და მოწყვლადობის სტატუსის გათვალისწინებით;
- აღმოიფხვრას პრაქტიკა, რომლის თანახმადაც სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირები რეალური სასჯელის გარეშე რჩებიან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მეშვეობით;
- სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისთვის უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი მხარდაჭერა სამართლებრივი პროცედურების დროს, მათ შორის უფასო იურიდიული დახმარება, ფსიქოლოგიური, სოციალური მხარდაჭერა და უსაფრთხო საცხოვრისი.

III. დამატებითი ზიანი სექსუალური ძალადობის მსხვერპლი მოზარდი გოგოებისათვის

ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის თანახმად, სექსუალური ძალადობის შემთხვევებში არ უნდა მოხდეს ბავშვზე (ან ქალზე) ზეწოლა, იქორწინოს გაუპატიურების ჩამდენზე ან მასზე მოძალადეზე, რამაც, კომიტეტის მიხედვით, შესაძლოა გამოიწვიოს არამარტო დამნაშავის დაუსჯელობა მძიმე დანაშაულისთვის, არამედ ფაქტობრივად დაწიოს ქორწინებისთვის კანონით დაშვებული მინიმალური ასაკობრივი ზღვარი.[42]

[42] "Equality Now": ბავშვი გოგონას დაცვა, კანონის გამოყენება ბავშვთა, ნაადრევი და იძულებითი ქორწინებების და ადამიანის სხვა უფლებების დარღვევების აღმოსაფხვრელად" (2014), გვ. 13; ეხება ადამიანის უფლებების

არ არსებობს საერთაშორისო ან რეგიონული ხელშეკრულება, რომელიც აწესებს სექსუალური ხასიათის ქმედებებისთვის თანხმობის გაცემის სამართლებრივ ასაკს, რაც ნიშნავს, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ცალკეული ქვეყნების კომპეტენციაა. თუმცა, გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ იძლევა ბავშვის განმარტებას, რომლის მიხედვითაც ბავშვი არის ,,18 წელს მიუღწეველი ნებისმიერი პირი, თუ რომელიმე ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სრულწლოვანების მიღწევას უფრო მცირე ასაკში". მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს სექსუალურ კონტაქტზე თანხმობის გაცემის საყოველთაოდ შეთანხმებული და განსაზღვრული ასაკი, თუ ბავშვს ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული თანხმობის ასაკი არ შესრულებია, დაუშვებელია მისი ჩართვა სექსუალური სახის ქმედებაში, დამოუკიდებლად იმისა, ბავშვი ,,დაეთანხმა" თუ არა ამ ქმედებებში მონაწილეობის მიღებას. უფრო მეტიც, გაეროს ბავშვთა ფონდი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ტერმინოლოგიურ გაიდლაინებში ბავშვთა სექსუალური ექსპლოატაციისა და ძალადობისგან დაცვის თაობაზე, კატეგორიულად მიუთითებს, რომ სახელმწიფოებმა უნდა მოახდინონ "18 წლამდე ასაკის ბავშვის სექსუალური ექსპლოატაციის ყველა ფორმის კრიმინალიზაცია და განიხილონ ნებისმიერი ნავარაუდევი „თანხმობა" ექსპლოატაციის ან ბოროტად გამოყენების აქტებზე, როგორც იურიდიული ძალის არმქონე."[43] გაეროს ქალთა ორგანიზაციაც ითვალისწინებს მსგავს ინსტრუქციებს და მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსებში და ყველა სხვა სამართლებრივ დოკუმენტში უნდა მოხდეს „ბავშვის" განმარტება, როგორც 18 წელს მიუღწეველი, არასრულსწლოვანი პირისა.

ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები

i. სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან (statutory rape) და არასრულწლოვნის გაუპატიურება

მიმოხილული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსები ერთმანეთისგან განასხვავებენ არასრულწლოვანთან თანხმობით სქესობრივ კავშირს (statutory rape) და არასრულწლოვანის გაუპატიურებას - რომელიც ხდება ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. მეტიც, გაანალიზებული ქვეყნების უმეტესობაში კანონმდებლობა უშვებს 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების (staturory rape) გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას (მოძალადის მსხვერპლთან „შერიგების'', მოძალადის „საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვის'' ან საპროცესო შეთანხმებით დამნაშავის რეალური სასჯელისგან გათავისუფლებით. იხ. ცხრილი #5). დამკვიდრებული საზიანო შეხედულებით, 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ჩადენა უფრო მეტად განიხილება, როგორც მორალური საკითხი და არა როგორც არასრულწლოვნის სქესობრივი ხელშეუხებლობის უფლების დარღვევა. ასეთ დანაშაულებში დამნაშავე, შესაძლოა, იყოს მხოლოდ 18 წელს მიღწეული პირი.

კომიტეტის CCPR/C/21/Rev.1/Add.10, ზოგად კომენტარს #28, "მამაკაცთა და ქალთა შორის უფლებრივი თანასწორობა (მუხლი 3)", 24.

[43] გაეროს ბავშვთა ფონდის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, ტერმინოლოგიის გაიდლაინები სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვის დაცვის თაობაზე https://www.unicef.org/protection/files/Terminology_guidelines_396922-E.pdf

არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირის დამყარების დანაშაული განმარტებულია, როგორც სრულწლოვანი ადამიანის სქესობრივი კავშირი პირთან, რომელსაც არ მიუღწევია 16 წლის ასაკისთვის (ესტონეთში ეს ასაკია 14 წელი). ქმედება დანაშაულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ჩადენილია 18 წლის ასაკს მიღწეული პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს, რომ მსხვერპლი არის 16 წელზე (ესტონეთში 14 წელზე) ნაკლები ასაკის. ამ მუხლის ინტერპრეტაცია ხდება ხოლმე ისე, თითქოს არასრულწლოვანმა მისცა თანხმობა, მას სურდა, ან წამოიწყო კიდეც სქესობრივი კავშირი. არასრულწლოვანის დაცვა უზრუნველყოფილია მხოლოდ მის ასაკზე დაყრდნობით.

ზოგიერთ იურისდიქციაში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა აღნიშნული დანაშაულისთვის დამოკიდებულია დამნაშავის ასაკზე და მხედველობაშია მიღებული დამნაშავის და მსხვერპლის ასაკებს შორის განსხვავება და/ან დამნაშავისა და მსხვერპლის "მოწიფულობა".[44] განხილული ქვეყნებიდან ზოგიერთში საერთოდ არ არის დაწესებული მსხვერპლის ქვედა ასაკობრივი ზღვარი (შესაბამისად იგულისხმება, რომ ნებისმიერი ასაკის არასრულწლოვანს შეუძლია, გასცეს თანხმობა სქესობრივ კავშირზე) და სასჯელიც არ არის ყოველთვის უფრო მაღალი უფრო ახალგაზრდა მსხვერპლის შემთხვევაში. იმის გამო, რომ არ არსებობს დამნაშავისა და მსხვერპლის ასაკების მიხედვით სასჯელის გრადაცია და პროკურორები და მოსამართლეები თანაუგრძნობენ დამნაშავეს მისი ახალგაზრდა ასაკის გამო, ისინი თავს იკავებენ დამნაშავისთვის რეალური პასუხისმგებლობის ან სასჯელის შეფარდებისგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მსხვერპლი 15 წლისაა და დამნაშავე კი ახალგაზრდა, სრულწლოვანი პირი. მაგალითად, მსგავს საქმეებზე საქართველოში ხდება საპროცესო შეთანხმებების გაფორმება, რისი მეშვეობითაც დამნაშავე კონკრეტული და რეალური სასჯელის მიღმა რჩება.

16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი, რომლის ჩადენა ხდება დე ფაქტო ან რელიგიურად რეგისტრირებული ოჯახის შექმნის პირობებში, წარმოადგენს ყველაზე ნაკლებად გაცხადებულ და დაუსჯელ დანაშაულს ანგარიშში მიმოხილულ ქვეყნებში. ასეთ შემთხვევებში, სამართალდამცავი ორგანოები პასუხისმგებლობის გარეშე ტოვებენ დამნაშავეებს - საქმეს არ აღძრავენ მოძალადის და მსხვერპლის „შერიგებაზე'' დაყრდნობით; ან პროკურორი არ იწყებს ან წყვეტს გამოძიებას/სისხლისსამართლებრივ დევნას საკუთარი დისკრეციის გამოყენებით; ან თუ საქმე აღწევს სასჯელის შეფარდების ეტაპს, სასამართლო არ აკისრებს დამნაშავეებს რეალურ სასჯელს საპროცესო გარიგებების გაფორმების ან სხვა მიზეზების გამო. ამგავრი პრაქტიკა მიუთითებს იმაზე, რომ 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი, თუ ის ჩადენილია ოჯახის შექმნის მიზნით, საერთოდ არ მიიჩნევა დანაშაულად და რომ შესაძლებელია, მოლაპარაკების გზით დამნაშვის გათავისუფლება პასუხისმგებლობისაგან. არ ხდება არასრულწლოვან გოგოს უფლებების შელახვის, ან

---

[44] **აზერბაიჯანი**: სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 152-ე (არასრულწლოვანთან სქესობრივი კავშირი - statutory rape) ან 153-ე მუხლით (გარყვნილი ქმედებები) ეკისრება **თუ ასაკობრივი განსხვავება დანაშაულის ჩამდენ პირსა და მსხვერპლს შორის 2 წელზე მეტია.**

ლიეტუვა: მუხლი 151.1. სექსუალური სურვილების დაკმაყოფილება სექსუალურ თვითგამორკვევაზე არასრულწლოვანის თავისუფლების და/ან ხელშეუხებლობის დარღვევით. ამ მუხლის პირველ პარაგრაფში მითითებული ქმედებები არ განიხილება, როგორც დანაშაული, **თუ არ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკობრივი, ფსიქიკური ან ფიზიკური მოწიფულობის კუთხით ქმედებების მონაწილეებს შორის.**

მოლდოვა: მუხლი 174. სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველ პირთან - (2) პირი, რომელმაც ჩაიდინა პირველ პარაგრაფში მითითებული ქმედება არ დაექვემდებარება სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას **თუ ის ახლოსაა მსხვერპლთან ასაკით და ფსიქიკური და ფიზიკური განვითარების დონით**.

რუსეთი: მუხლი 134. სქესობრივი კავშირი და სექსუალური ხასიათის სხვა ქმედებები პირთან, რომელსაც არ მიუღწევია 16 წლის ასაკისთვის. 2. სადაც ასაკობრივი განსხვავება მსხვერპლსა და ბრალდებულს შორის არის 4 წელზე ნაკლები, ბრალდებული არ დაისჯება თავისუფლების აღკვეთით ჩადენილი საქციელის გამო ამ მუხლის პირველი პარაგრაფის ან კოდექსის 135-ე მუხლის პირველი პარაგრაფის მიხედვით.

განგრძობითი ძალადობის და უფლების სხვა დარღვევების აღიარება, რასაც შეიძლება დაექვემდებაროს არასრულწლოვანი ე.წ. ქორწინებაში ყოფნის დროს. მაშინაც კი, როდესაც მოძალადეს არ ამოძრავებს ოჯახის შექმნის განზრახვა, მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შესაძლოა, მაინც არ დაიწყოს, თუ 16 წელს მიუღწეველი მსხვერპლი არ იყო ქალიშვილი, რადგან აღიქმება, რომ გოგო ,,უმწიკვლო" აღარ არის, სექსობრივი დანაშაული მას არ მიაყენებდა რაიმე ზიანს და შესაბამისად, სახწლმწიფოს არ უღირს მის დასაცავად ზომების მიღება.

კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანის გაუპატიურებას, მეორეს მხრივ, ადგილი აქვს, როდესაც დამნაშავე იყენებს ძალადობას, ძალადობის მუქარას, ან ბოროტად სარგებლობს მსხვერპლის უმწეო მდგომარეობით. აღნიშნული დანაშაულისთვის განსაზღვრულია უფრო მკაცრი სასჯელი, ვიდრე 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის (statutory rape) გამო, რადგანაც მიიჩნევა, რომ ქმედება განხორციელდა არასრულწლოვანის სურვილის გარეშე, არაკანონიერი გზებით. რაც უფრო მცირე ასაკისაა მსხვერპლი, მით უფრო მკაცრია სასჯელი.

როდესაც ხდება არასრულწლოვნის გაუპატიურება (და მაშინაც, როდესაც დამნაშავეს არ აქვს „ოჯახის'' შექმნის განზრახვა), გამოძიება თითქმის ყოველთვის იწყება 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამყარების და არა გაუპატიურების მუხლით, რადგანაც პროკურორები თვლიან, რომ უფრო ადვილი იქნება სასამართლოში 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამტკიცება. ქმედება რომ გაუპატიურებად დაკვალიფიცირდეს, მათ მოუწევთ მტკიცებულებების მოპოვება გამოყენებული ძალადობის ან იძულების სხვა ფორმების დასამტკიცებლად. ეს პრაქტიკა უგულებელჰყოფს მსხვერპლის ნების დამთრგუნველ გარემოებებს, ან მსხვერპლის დამოკიდებულებას დამნაშავეზე და კიდევ უფრო მეტად ახდენს მოზარდი გოგოების სტიგმატიზაციას დანაშაულის ბუნებისა და სიმძიმის არასათანადო შეფასების გამო. შედეგად, აღნიშნული მუხლი შეიძლება განიმარტებოდეს ისე, თითქოს არასრულწლოვანი „დათანხმდა'' ან "აქტიურად ითხოვა" სქესობრივი კავშირის დამყარება. გოგო ასევე, შესაძლოა, აღიქმებოდეს, როგორც ,,თავისუფალი ყოფაქცევის" ან "მაცდური", რომელიც ცხოვრობს საზოგადოებრივი ნორმების საწინააღმდეგო სქესობრივი ცხოვრებით და ამით არცხვენს ოჯახს. ამგვარი დამოკიდებულების გამო კი, შესაძლოა, ოჯახმა და თემმა სათანადო მხარდაჭერა არ აღმოუჩინონ მსხვერპლს. ასეთ შემთხვევებში თავად მსხვერპლი არის აღქმული დამნაშავედ, მაშინ როდესაც რეალური დამნაშავისთვის პასუხისმგებლობა შესაძლოა, მხოლოდ ჯარიმის დაკისრებით შემოიფარგლოს.

გაუპატიურების მოზარდი მსხვერპლები ხშირად ექვემდებარებიან სტიგმატიზაციასა და დაცინვას თავიანთ თემში. ისინი ხშირად ირიცხებიან სკოლებიდან, თუ უწევთ „ქორწინება,'' რაც მათ ართმევს მთელ რიგ უფლებებს, მათ შორის, უფლებას განათლების მიღებაზე.

ii. გატაცება ქორწინების მიზნით და იძულებითი ქორწინება

ბავშვობის ასაკში ქორწინება, ან გატაცება ქორწინების მიზნით[45] ჯერ კიდევ გავრცელებულია სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, ყაზახეთში, ყირგიზეთში,[46] რუსეთის ჩრდილოეთ

[45] ქორწინების მიზნით გატაცება საზიანო პრაქტიკაა, რომელიც გულისხმობს ქალის ან გოგონას მოტაცებას მისი სურვილის საწინააღმდეგოდ ტყუილის ან ძალის გამოყენების გზით და მასზე ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობასა და გამტაცებელზე ქორწინების იძულებას.

[46] იხ. გაეროს ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის მიერ ყირგიზეთის გამოკვლევა გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლზე დაყრდნობით, 21 სექტემბერი 2018 წ. CEDAW/C/OP.8/KGZ/1.

კავკასიის ნაწილში, თურქმენეთსა და უზბეკეთში.[47] სომხეთსა და საქართველოში ქორწინების მიზნით გატაცების პრაქტიკა უმეტესწილად აღმოიფხვრა ბოლო ათწლეულების მანძილზე, თუმცა, ზოგიერთ თემში ჯერ კიდევ შესაძლოა, არსებობდეს გატაცების არარეგისტრირებული შემთხვევები. მიმოხილულ ქვეყნებში ქორწინების მიზნით გატაცებისა და იძულებითი ქორწინების მსხვერპლები უმეტესწილად მოზარდი გოგოები ხდებიან, რაც ხელს უწყობს მათ წინააღმდეგ სექსუალური ძალადობის ჩადენას. ამავდროულად, ბავშვობის ასაკში ქორწინებების მსხვერპლებიც უმეტესწილად გოგოები ხდებიან.

ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში ქორწინებისთვის ნებადართული ასაკია 18 წელი (ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებულია გამონაკლისებიც), რომელიც შეესაბამება ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტს, თუმცა ეს დებულება, როგორც წესი, არ უშლის ხელს წყვილებს, რომ დაარეგისტრირონ არასრულწლოვანთა ქორწინება რელიგიურად ან იცხოვრონ ერთად, როგორც დე ფაქტო ოჯახმა, ქორწინების რეგისტრაციის გარეშე. რელიგიური და დაურეგისტრირებელი (დე ფაქტო) ქორწინება ფართოდაა გავრცელებული[48] მთელს რეგიონში და არ უზრუნველჰყოფს რაიმე სამართლებრივ დაცვას წყვილებისათვის, განსაკუთრებით საკუთრებასთან ან მემკვიდრეობასთან მიმართებით.

ზოგიერთ იურისდიქციაში ქორწინების მიზნით გატაცებისა და იძულებითი ქორწინებისთვის ცალკე მუხლები არსებობს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში. ასეთი ქვეყნებია: აზერბაიჯანი, საქართველო (ცალკე მუხლია ქორწინების იძულება, მაგრამ არა გატაცება ქორწინების მიზნით), ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა და უზბეკეთი; ან ასეთი დანაშაულები ჩამოთვლილია მონობის ან ტრეფიკინგის შესახებ არსებულ სისხლის სამართლის კოდექსების მუხლებში, როგორც არის, მაგალითად, ესტონეთსა და მოლდოვაში. სხვა ქვეყნებში კი, სადაც ქორწინების მიზნით გატაცება არ არის ცალკე მუხლის მეშვეობით კრიმინალიზებული, მაგალითად ყაზახეთსა და რუსეთში, ასეთი შემთხვევების გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა იწარმოება ზოგადად ადამიანის გატაცების მუხლებით და პასუხისმგებლობის დაკისრება ზოგჯერ არ ხდება, თუ მსხვერპლს გაათვისუფლებენ გარკვეული დროის შემდეგ და თუ დამნაშავის ქმედებაში არ არის დამატებით სხვა დანაშაულის ნიშნები. ასევე, ხშირად არ ხდება გატაცების დროს ჩადენილი სექსუალური ძალადობის დანაშაულების (ასეთის არსებობის შემთხევაში) გამოძიება.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ადამიანის გატაცებისა და იძულების ზოგადი მუხლების მეშვეობით ქორწინების მიზნით გატაცებისა და იძულებითი ქორწინების გამოძიების შესაძლებლობა, სტამბოლის კონვენციაზე დაყრდნობით და მართლმსაჯულებაზე უკეთესი წვდომის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს ამ დანაშაულების ცალკე გამოყოფა. როდესაც ქორწინების მიზნით გატაცებისა და იძულებითი ქორწინების გამოძიება ხდება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად მუხლებზე დაყრდნობით, ვერ ხდება ამ დანაშაულებზე დეტალური სტატისტიკის წარმოება, რადგან აღნიშნული დანაშულები აღირიცხება იმ სხვა დანაშაულებთან ერთად, რომლებიც ზოგადი მუხლების ქვეშ მოექცა. სპეციალური მუხლების არარსებობის პირობებში, ასევე, მეტია შესაძლებლობა, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა არ მიიჩნიონ ეს დანაშაულები [ქორწინების მიზნით გატაცება და ქორწინების იძულება] მნიშვნელოვნად და გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა წარმართონ გენდერული ხედვის გარეშე, რაც უარყოფითად მოქმედებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე.

[47] იხილეთ გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) მიერ მოწოდებული ინფორმაცია: https://eeca.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/Child%20Marriage%20EECA%20Regional%20Overview.pdf
[48] იქვე

ქორწინების მიზნით გატაცებას ხშირად თან სდევს გაუპატიურება, რომლის მიზანია მსხვერპლი არ წავიდეს მოძალადისგან. გატაცებები, როგორც წესი, მთავრდება ქორწინებით, რადგან გოგოს ან ქალს არ აქვს სხვა არჩევანი ან მისი სხვაზე ქორწინების შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იკლებს, თუ მთელი ღამით იქნა დაკავებული დამნაშავის სახლში. ასეთ სიტუაციებში მიიჩნევა, რომ შეიქმნა ,,ოჯახი", ამიტომ არ ხდება გაუპატიურების გამოძიება. შესაბამისად, გამოდის, რომ არათუ იძულებითი ქორწინების გამოძიება არ ხდება, არამედ მსგავსი ქორწინება გამოიყენება გაუპატიურების ჩამდენის პასუხისმგებლობისგან გასათვისუფლებლად.

გ. რეკომენდაციები

- მოხდეს ქორწინების მიზნით გატაცებებისა და იძულებითი ქორწინების ცალკე მუხლებად გამოყოფა სისხლის სამართლის კოდექსებში;
- 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირისთვის (statutory rape) კანონით განსაზღვრულმა სანქციებმა სრულად უნდა მიიღოს მხედველობაში მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის ასაკობრივი განსხვავება და სასჯელი იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული;
- არასრულწლოვნის გაუპატიურების ყველა შემთხვევაზე სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდეს გაუპატიურების მუხლით და არ მოხდეს დანაშაულის დაკვალიფიცირება 16 წელს მიუღწეველთან (ნებაყოფლობით) სქესობრივ კავშირად, თუ არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც ამყარებს გაუპატიურების ბრალდებას;
- სადაც შესაძლებელია, გაუქმდეს 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის ჩამდენ დამნაშავესთან სასჯელის შემცირების მიზნით საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობა.

IV. გაზრდილი მოწყვლადობა - გაზრდილი უსამართლობა სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე

ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

CEDAW-ს კომიტეტი აღიარებს, რომ ზოგიერთ ქალზე გენდერული ნიშნით ძალადობა სხვა ქალებისგან განსხვავებული ფორმითა და სიმწვავით მოქმედებს. ამის განმაპირობებელი ფაქტორები შეიძლება იყოს: ეთნიკური კუთვნილება/რასა, უმცირესობის თემის წევრობა, კანის ფერი, სოციო-ეკონომიკური სტატუსი, ენა, რელიგია ან რწმენა, მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენლობა, პოლიტიკური შეხედულებები, ეროვნული წარმომავლობა, ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, საცხოვრებელი ადგილი (ქალაქი თუ სოფელი), ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, საკუთრების ფლობის სტატუსი, ლესბოსელის/ბისექსუალის/ტრანსგენდერის ან ინტერსექსი ადამიანის იდენტობა, წერა-კითხვის უცოდინრობა, ტრეფიკინგი, შეიარაღებული კონფლიქტი, თავშესაფრის ძიება, ლტოლვილის სტატუსი, დევნილის სტატუსი, მოქალაქეობის არქონა, მიგრაცია, შინამეურნეობის გაძღოლა, ქვრივობა, HIV/AIDS სტატუსი, პროსტიტუციაში ჩართულობა და ა.შ. შესაბამისად, იმის გამო, რომ ამ ჯგუფთა წარმომადგენელი ქალები განიცდიან ერთმანეთთან გადაჯაჭვული დისკრიმინაციის ფორმებს, რომელსაც აქვს მზარდი

ნეგატიური გავლენა, საჭიროა მათთვის სათანადო პოლიტიკისა და სამართლებრივი რეაგირების შემუშავება.[49] ამასთანავე, CEDAW-ს კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს წარმოადგინონ ანგარიში სპეციალური ზომების შესახებ, რომლებიც მიიღეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების განსაკუთრებული სიტუაციის გათვალისწინებით.[50]

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია მოუწოდებს სახელმწიფოებს ,,აამოქმედონ ეფექტური კანონმდებლობა და პოლიტიკა, მათ შორის ქალებსა და ბავშვებზე ფოკუსირებული კანონები და პოლიტიკა, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ექსპლოატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფის შემთხვევების გამოვლენა, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა, საჭიროებისამებრ." იგი, ასევე, მოითხოვს განსაკუთრებულ ზომებსა და პროცედურებს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ჰქონდეთ რეალური წვდომა მართლმსაჯულებაზე სხვებთან თანასწორად და შეძლონ საკუთარი ქმედუნარიანობის აღსრულება.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი მე-9 კომენტარში აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები 5-ჯერ უფრო ხშირად განიცდიან ძალადობას და ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოები გენდერული დისკრიმინაციის კიდევ უფრო დიდი რისკის ქვეშ არიან." კომიტეტი, ასევე, მოითხოვს სახელმწიფოებისგან, რომ ,,განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოებს საჭირო და ზოგჯერ დამატებითი ზომების მიღების გზით, იმისათვის, რომ ისინი სათანადოდ იყვნენ დაცული, ჰქონდეთ წვდომა ყველა სახის მომსახურებაზე და იყვნენ საზოგადოების სრულფასოვანი წევრები."

CEDAW-ს კომიტეტი აღიარებს პროსტიტუციაში ჩართული გოგოებისა და ქალების განსაკუთრებულ მოწყვლადობას, განსაკუთრებით სექსუალურ ძალადობასთან მიმართებით. კომიტეტი აცხადებს, რომ ქალთა გარკვეული ჯგუფები, მათ შორის, პროსტიტუციაში ჩართული ქალები, არაპროპორციულად ხდებიან ჯარიმების (კრიმინალიზაციის) სამიზნეები, რაც ხელს უშლის მათ წვდომას მართლმსაჯულებაზე.[51] პროსტიტუციაში ჩართულ ქალებსა და გოგოებს კანონი უნდა იცავდეს გაუპატიურების და სხვა ფორმის ძალადობისაგან ისე, როგორც სხვა ქალების შემთხვევაში.[52]

CEDAW-ს კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში პროსტიტუციის გამო ისჯებიან პროსტიტუციაში ჩართული ქალები და არა მათი კლიენტები, პროსტიტუციის ორგანიზატორები ან მესამე მხარეები, რომლებიც სარგებელს იღებენ პროსტიტუციისგან.[53] მაგალითად, კომიტეტმა მოუწოდა რუსეთის ფედერაციას, ამოეღო პროსტიტუცია ადმინისტრაციული სამართალდარღვევების კოდექსიდან და შეექმნა ზედამხედველობის

---

[49] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ გაცემული ზოგადი რეკომენდაცია #35 CEDAW/C/GC/35 ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის შესახებ, მე-19 რეკომენდაციის განახლება, 12.

[50] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ გაცემული ზოგადი რეკომენდაცია #18 A/46/38, 18 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების შესახებ

[51] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაცია #33 CEDAW/C/GC/33, მართლმსაჯულებაზე ქალთა წვდომის შესახებ, 49.

[52] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაცია #19 A/47/38 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, 15.

[53] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის ანგარიში, 24-ე სესია (2001 წლის 15 იანვარი - 2 თებერვალი და 25-ე სესია (2001 წლის 2-20 ივლისი), დასკვნითი მოსაზრებები ეგვიპტისთვის (პარ. 346), გაიანისთვის (პარ. 180-181), გვინეისთვის (პარ. 137); A/56/38., დასკვნითი მოსაზრებები ჩინეთისთვის CEDAW/C/CHN/CO/6 (2006), 19.

მექანიზმი, რომელიც მოახდენდა პროსტიტუციაში ჩართულ ქალთა მიმართ ძალადობის, მათ შორის პოლიციის მიერ ჩადენილი ძალადობის, მონიტორინგს.[54]

ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები

ანგარიშში მიმოხილული ბევრი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგოებისა და ქალების გაუპატიურება უნდა ისჯებოდეს უფრო მკაცრად, ვიდრე ისეთი პირის გაუპატიურება, რომელსაც არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობა. ამის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგოები, განსაკუთრებით ინტელექტუალური შეზღუდვის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალები, აწყდებიან მთელ რიგ ბარიერებს სექსუალური ძალადობისათვის მართლმსაჯულებაზე წვდომის კუთხით. ამ ბარიერებში შედის: საკმარისი საშუალებების (მათ შორის, ტექნიკური) ნაკლებობა სამართალდამცავ ორგანოებში სექსუალური ძალადობის შესახებ განცხადებისათვის; სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებში ცოდნის ნაკლებობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისაგან (მათ შორის, ინტელექტუალური შეზღუდვის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ქალებისაგან) ჩვენების აღების მეთოდების შესახებ; და შეზღუდული შესაძლებლობისა და გენდერული ცრურწმენების ურთიერთკვეთა მთელი პროცესის მანძილზე, რაც ბევრჯერ შედეგად იწვევს დამნაშავეების დაუსჯელობას.

რაც უფრო ხშირია არახელსაყრელი პირობები, ცრურწმენები ან დისკრიმინაცია, მით უფრო მეტად იმყოფებიან ქალები და გოგოები სექსუალური ძალადობის რისკის ქვეშ და მით უფრო ნაკლებად იცავს მათ სამართალდამცავი ორგანოები (მაგალითად, კონფლიქტის რეგიონებში მცხოვრები ქალები და გოგოები, დევნილთა თემში მცხოვრები ქალები და გოგოები, სოფლად მცხოვრები ქალები და გოგოები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები ან თავშესაფრის მაძიებლები).

პროსტიტუციაში ჩართულ ქალებსა და გოგოებს ხშირად შეზღუდული აქვთ წვდომა მართლმსაჯულებაზე, როდესაც მათ მიმართ ხდება სექსუალური ძალადობა. აღნიშნული კარგად ასახავს სამართლებრივ პრაქტიკასა და ზოგადად, საზოგადოებაში გავრცელებულ პოზიციას, რომ ქალები და გოგოები მეტწილად თავად მიიჩნევიან პასუხისმგებლობის ტვირთის მატარებლად მათ მიერ განცდილი სექსუალური ძალადობისთვის და რომ კაცებს აქვთ უფლებები ქალების სხეულებზე. კანონი ხშირად ახდენს ქალების კრიმინალიზაციას ან უწესებს მათ სხვა სახის ჯარიმებს სექსის გაყიდვის გამო მაშინ, როდესაც კაცები, რომლებიც მათი სხეულით სარგებლობას ყიდულობენ, არც სისხლის სამართლის სანქციას და არც რაინმე სახის ჯარიმას ექვედებარებიან. პროსტიტუციაში ჩართული ქალებისა და გოგოების გაუპატიურება ხშირად დანაშაულად არ აღიქმება სამართალდამცავი ორგანოების მიერ, იმის მიუხედავად, რომ გაუპატიურების ყველა ბრალდება უნდა იყოს სათანადოდ გამოძიებული და დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ დევნას კანონის სრული დაცვით. არასრულწლოვნის (18 წელზე ნაკლები ასაკის) ,,ყიდვა" - მისი სექსუალური მომსახურებით სარგებლობა - ყოველთვის უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაული, როგორც ეს ხდება,

[54] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები რუსეთის ფედერაციისთვის CEDAW/C/RUS/CO/8, 2015, 25-26.

მაგალითად, ესტონეთში (სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 145(1))[55]. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული დანაშაული განსაზღვრული იყოს გაუპატიურების ანალოგიურად და მის მიმართ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში მოხდეს იმავე ზომების მიღება, რაც არსებობს გაუპატიურების შემთხვევაში.

გ. რეკომენდაციები

- სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა ქალის ან გოგოს მარგინალიზება ან მოწყვლადობა (შეზღუდული შესაძლებლობა, არასრულწლოვნება, ეთნიკურ უმცირესობასთან კუთვნილება, LBTI, პროსტიტუციაში ჩართულობა, მიგრანტობა) არ გახდეს სექსუალური ძალადობისათვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი; სახელმწიფომ უნდა დანერგოს გაიდლაინები მსხვერპლისგან ჩვენების აღების მეთოდების შესახებ და ყველა ქალი და გოგო (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაძლებლობით (საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკური უზრუნველყოფა), მოახდინოს სექსუალური ძალადობის სახელმწიფო ორგანოებისთვის შეტყობინება და წარმართოს თავისი საქმე სხვებთან თანასწორად;
- გადაისინჯოს პროსტიტუციის შესახებ არსებული კანონმდებლობა, რათა გაუქმდეს იმ პირების სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, რომლებიც ყიდიან სექსს და, შესაბამისად, იმყოფებიან სქესობრივი დანაშაულების სერიოზული რისკის წინაშე, რადგან ამგვარი კანონმდებობა მათ ფაქტობრივად უზღუდავს შესაძლებლობას შეატყობინონ სათანადო ორგანოებს მათ მიმართ ჩადენილი დანაშულების შესახებ; ასევე, მოხდეს იმ პირებისთვის ადამინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება, რომლებიც ყიდულობენ სექსს და პოტენციურად ხდებიან ქალებისა და გოგონების მიმართ სექსუალური ძალადობის ჩამდენნი. პასუხისმგებლობა ასევე უნდა განისაზღვროს ნებისმიერი სახის სექსუალური ძალადობისათვის, მათ შორის, ჩადენილის ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალებისა და გოგების მიმართ, რომელთაც თავიანთი მდგომარეობის გამო, არ ჰქონიათ სექსზე თანხმობის მიცემის გადაწყვეტის შესაძლებლობა.

V. სამართლებრივი დაცვა მეუღლის მიერ გაუპატიურების შემთხვევაში

ა. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები

CEDAW-ს კომიტეტის 35-ე ზოგადი რეკომენდაციის მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ „სექსუალური დანაშაულების განმარტებები, მათ შორის, მეუღლის მხრიდან გაუპატიურებისა და ნაცნობის/პარტნიორის მიერ გაუპატიურების, ეფუძნებოდეს [მსხვერპლის] თავისუფლად მიცემული თანხმობის ნაკლებობას და ითვალისწინებდეს ნების

[55] სქესობრივი კავშირის დამყარება ან სექსუალური ხასიათის სხვა ქმედება პირთან, რომელიც არის 18 წელზე ნაკლები ასაკის ფულადი ანაზღაურების ან ნებისმიერი სხვა სარგებელის სანაცვლოდ დასჯადია 3 წლამდე პატიმრობით.

დამთრგუნველ გარემოებებს"[56]. გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კანონები უნდა გადაიხედოს ან მოხდეს ახალი მუხლების შემუშავება მეუღლის მხრიდან გაუპატიურების ასაკრძალად.[57]

სტამბოლის კონვენციაც, ასევე, აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებში დამამძიმებელ გარემოებად უნდა განისაზღვრებოდეს თუ „დანაშაული ჩადენილი იქნა ადგილობრივი კანონმდებლობით აღიარებული ყოფილი ან მოქმედი მეუღლის ან პარტნიორის წინააღდეგ ოჯახის წევრის, მსხვერპლთან თანაცხოვრებაში მყოფი პირის ან ისეთი პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა საკუთარი ძალაუფლება" (მუხლი 46. ა.). გაეროს ქალთა ორგანიზაციის ვირტუალური ცოდნის ცენტრი ქალთა და გოგოთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრისთვის - *სექსუალური ძალადობის შესახებ კანონმდებლობის ძირითადი ელემენტები* - მიუთითებს, რომ უნდა მოხდეს ქორწინების ფარგლებში ჩადენილი სექსუალური ძალადობის სპეციალური მუხლის მეშვეობით კრიმინალიზაცია.

CEDAW-ს კომიტეტი, ადამიანის უფლებათა კომიტეტი და სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე, რეკომენდაციას აძლევენ წინამდებარე ანგარიშში მიმოხილულ ქვეყნებს, რომ მოახდინონ მეუღლის მიერ გაუპატიურების კრიმინალიზაცია:

- ყირგიზეთი: 2018 წელს CEDAW-ს კომიტეტმა შეისწავლა ქორწინების მიზნით გატაცებების შემთხვევები და გასცა რეკომენდაცია, რომ სახელმწიფომ მოახდინოს მეუღლის მხრიდან გაუპატიურების სპეციალური მუხლის მეშვეობით კრიმინალიზაცია.[58]
- ტაჯიკეთი: 2018 წელს CEDAW-ს კომიტეტმა დასკვნითი მოსაზრებებში რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოს, რომ დააჩქაროს კანონმდებლობაში მეუღლის მხრიდან გაუპატიურებისა და ქორწინების ფარგლებში და მის გარეთ განხორციელებული სექსუალური ძალადობის კრიმინალიზაცია.[59]
- ბელარუსი: 2016 წელს CEDAW-ს კომიტეტმა დასკვნით მოსაზრებებში რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოს, რომ მიიღოს კანონმდებლობა მეუღლის მხრიდან გაუპატიურების სპეციალური კრიმინალიზაციის შესახებ.[60]
- ლატვია: 2014 წელს ადამიანის უფლებების კომიტეტმა დასკვნით მოსაზრებებში რეკომენდაცია მისცა სახელმწიფოს, რომ მეუღლის მხრიდან გაუპატიურება სისხლის სამართლის კოდექსით განესაზღვრა, როგორც ცალკე დანაშაული.[61]
- ლიეტუვა: 2014 წელს CEDAW კომიტეტმა თავის დასკვნით მოსაზრებებში რეკომენდაცია მისცა ლიეტუვას გადასინჯოს სისხლის სამართლის კოდექსი და ცალკე მოახდინოს მიეუღლის მიერ ჩადენილი გაუპატიურების კრიმინალიზაცია.[62]

---

[56] CEDAW ზოგადი რეკომენდაცია #35, პარ 29.ე.

[57] იხილეთ დუბრავკა სიმონოვიჩის ანგარიში - გაეროს სპეციალური მომხსენებელი ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ ბაჰამაში მისი ვიზიტის დროს, 2018 წლის 25 მაისი, A/HRC/38/47/Add.2, პარ. 73.თ.

[58] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კომიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა ყირგიზეთში (CEDAW/C/OP.8/KGZ.1) ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის გაეროს კონვენციის ფაკულტატური ოქმის მე-8 მუხლის მიხედვით, CEDAW/C/OP.8/KGZ/1, პარ. 92.ბ.

[59] CEDAW-ს დასკვნითი მოსაზრებები ტაჯიკეთის მეექვსე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2018 წლის 9 ნოემბერი. CEDAW/C/TJK/CO/6, პარ. 26.

[60] CEDAW-ს დასკვნითი მოსაზრებები ბელარუსის მერვე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2016 წლის 18 ნოემბერი. პარ. 23. ა

[61] გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი (HRC), დასკვნითი მოსაზრებები ლატვიის მესამე პერიოდული ანგარიშის შესახებ: ადამიანის უფლებების კომიტეტი, 2014 წლის 11 აპრილი, პარ. 9.ა.

[62] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები ლიეტუვას მეხუთე პერიოდული ანგარიშის შესახებ, 2014 წლის 24 ივლისი, CEDAW/C/LTU/CO/5, პარ 25.ე.

ბ. ადგილობრივ კანონმდებლობასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემები

ანგარიშში მიმოხილული ქვეყნების კანონები ცალკე მდგომ დანაშაულად არ განიხილავენ ქორწინებაში ჩადენილ გაუპატიურებას. გამონაკლისია უკრაინა და მოლდოვა, სადაც მეუღლის მიერ გაუპატიურება განისაზღვრება, როგორც სექსუალუისრი ძალადობის მუხლის დამამძიმებელი გარემოება (უკრაინის მუხლის დამამძიმებელ გარემოებაში კონკრეტულად მითითებულია მეუღლის მხრიდან გაუპატიურება, ხოლო მოლდოვის შემთხვევაში - ოჯახის წევრისგაუპატიურება, რაც თეორიულად მოიცავს მეუღლესაც). საქართველოში, მაგალითად, ნებისმიერი დანაშაულის ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩადენა წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი მუხლის თანახად. ასევე, ლატვიის სისხლის სამართლის კოდექსი აკონკრეტებს, რომ მეუღლის ან ყოფილი მეუღლის ან დაურეგისტრირებელ ქორწინებაში მყოფი პარტნიორის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული დამამძიმებელი გარემოებაა ყველა დანაშაულისათვის. საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მეუღლის მიერ გაუპატიურების კონკრეტული კრიმინალიზაცია, რადგან ამ ეტაპზე მიმოხილული ქვეყნების პრაქტიკაში თითქმის არც კი აღიარებენ ასეთ შემთხვევებს დანაშაულად. სტამბოლის კონვენცია და გაეროს ქალთა ორგანიზაციის გაიდლაინები, ასევე, მიუთითებენ, რომ ყოფილი ან მოქმედი მეუღლის ან პარტნიორის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული უნდა განიხილებოდეს, როგორც დამამძიმებელი გარემოება განაჩენის გამოტანის დროს.

ოჯახში ძალადობა, რომელიც ხშირად მოიცავს სექსუალურ ძალადობას, სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ყველა ქვეყანაში. უმეტეს შემთხვევებში ოჯახში ძალადობა კვლავ პირად საქმედ განიხილება, რომელშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. სამართალდამცავი ორგანოები და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლები ხშირად იყენებენ მორიგების მექანიზმებს ოჯახში ძალადობის საქმეებში, ანიჭებენ რა უპირატესობას ოჯახის გარეგან ერთობას, ვიდრე მსხვერპლის დაცვასა და მისთვის სამართლიანობის მიღწევას. მაშინაც კი, როდესაც ხდება ოჯახში მომხდარი ფიზიკური ძალადობის აღიარება გარკვეული ხარისხით, მეუღლის მხრიდან სექსუალური ძალადობა ხშირად სრულებით უგულებელყოფილია. ზოგიერთ ქვეყანაში გაუპატიურების მსხვერპლზე, რომელიც დაქორწინებული არ არის, ხორციელდება ზეწოლა, რომ იქორწინოს დამნაშავეზე, რათა არ შეარცხვინოს ოჯახი და თემი - რადგან ხშირად მიიჩევა, რომ მან თავად „გამოიწვია'' გაუპატიურება. ამგვარი ქორწიება მას „ქმრის" მხრიდან დამატებითი ძალადობის საფრთხის წინაშე ტოვებს.

მიმოხილული ყველა ქვეყნის კანონმდებლობის ზოგადი დებულებების თანახმად შესაძლებელია გაუპატიურების ან გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლისათვის ბრალის წაყენება ცრუ დასმენისთვის, თუ არ იქნა წარმოდგენილი საკმარისი მტკიცებულება ძალადობის შესახებ. აღნიშნულმა, მართლმსაჯულების სხვა სერიოზულ ბარიერებთან ერთად, შესაძლოა მსხვერპლისთვის გამოიწვიოს მსუსხავი ეფექტი დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისთან მიმართებით. მართალია, სექსუალურ ძალადობასთან კავშირში აღნიშნული დებულებების ბოროტად გამოყენების შესახებ არასამთავრობო ორგანიზაციებს არ მოუწოდებიათ ინფორმაცია, ცრუ დასმენისთვის ბრალდებას ხშირად მიმართავენ ოჯახში ძალადობის საქმეებში, რომლებიც, ასევე, შეიცავს ხოლმე სექსუალურ ძალადობას.

გ. რეკომენდაციები

- მოხდეს მეუღლის მიერ ჩადენილი გაუპატიურების ცალკე კრიმინალიზაცია (ცალკე მუხლად გამოყოფა) და მისი განსაზღვრა დამამძიმებელ გარემოებად;
- მოხდეს მეუღლის მიერ ჩადენილი გაუპატიურების საჯარო ინტერესის საფუძველზე ეფექტური სისხლისსამართებრივი დევნა და დასჯა.

ცხრილები

ცხრილი #1

ეროვნულ დონეზე მოქმედი სექსუალური ძალადობის განმარტებები საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებით

სექსუალური ძალადობის დანაშაულები არასწორად წარმოჩენილია, როგორც ღირსებისა და მორალის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები	ლატვია[1]
მსხვერპლის თანხმობის არარსებობა არ არის სექსუალური ძალადობის შემადგენელი საკმარისი ელემენტი და თანხმობა არ არის განსაზღვრული, როგორც ნებაყოფლობითი და პირის თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგი	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ესტონეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი. • *მხოლოდ უკრაინში სექსუალური ძალადობის მუხლი შეიცავს თანხმობის არარსებობას*
სექსუალური ძალადობის მუხლები არ ითვალისწინებენ მსხვერპლის ნების დამთრგუნველი გარემოებების ფართო ჩამონათვალს	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ესტონეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუსეთი ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი. **ესტონეთი და ლატვია ყველაზე პროგრესულია.*
მოითხოვს დამატებით ძალადობას, ძალადობის მუქარას ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებას, როგორც გაუპატიურების ელემენტს.	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ესტონეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი
არ ახდენს ქორწინების და/ან ახლო პირადი ურთიერთობის ფარგლებში ჩადენილი გაუპატიურების ცალკე კრიმინალიზაციას	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, ესტონეთი, საქართველო, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლატვია, ლიეტუვა, მოლდოვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი ** მოლდოვა განიხილავს ოჯახის წევრის გაუპატიურებას, როგორც დამამძიმებელ გარემოებას. თუმცა, კონკრეტულად მეუღლის მხრიდან გაუპატიურება არ არის ნახსენები.*

[1] გაუპატიურება შედის მორალობისა და გენდერული ხელშეუხებლობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების თავში

ცხრილი #2
სექსუალური ძალადობის დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარება კერძო ან კერძო-საჯარო სისხლისსამართლებრივ დევნას

გაუპატიურება (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე)	აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლიეტუვა, რუსეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი
სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე)	აზერბაიჯანი, ბელარუსი, ყაზახეთი, ლიეტუვა, რუსეთი, უზბეკეთი
სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის ქმედებების იძულება	აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, ლიეტუვა, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი
ქორწინების იძულება	აზერბაიჯანი, უკრაინა, უზბეკეთი
სექსუალური შევიწროება	ლიეტუვა, მოლდოვა

ქვემოთ მოცემული ცხრილები აჯამებს კანონმდებლობის არსებულ ტექსტს, რომელზე დაყრდნობითაც თეორიულად შესაძლებელია ბოროტად იქნეს გამოყენეული სექსუალური ძალადობის კონტექსტში, რათა დანაშაულები პასუხისმგებლობის ან სასჯელის დაკისრების გარეშე დარჩეს. ეს დებულებები, შესაძლოა, მოცემული დროისათვის არ გამოიყენება პრაქტიკაში, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ გაუქმდა, რჩება იმის ალბათობა, რომ მოხდეს პრაქტიკაში მათი გამოყენება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან დამნაშავის გასათავისუფლებლად. კანონი მკაფიოდ უნდა ადგენდეს, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენები არ უნდა სარგებლობდნენ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებით.

ცხრილი #3
გაუპატიურება (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე):

შერიგება	ყაზახეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში, თუ ჩადენილია მოწყვლადი პირის მიერ, მაგრამ არა მაშინ, როცა მსხვერპლი არასრულწლოვანია), მოლდოვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში, თუ დამნაშავე არასრულწლოვანია, მაგრამ არა მაშინ, როდესაც მსხვერპლია არასრულწლოვანი)
ქმედითი მონანიება	ყაზახეთი, მოლდოვა
საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა	ყაზახეთი, ლიეტუვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), მოლდოვა, უკრაინა, უზბეკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
სერიოზული დანაშაულის გამოძიებაში დახმარების აღმოჩენა	ესტონეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ლიეტუვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ყაზახეთი

გირაოთი გათავისუფლება	უკრაინა
ადმინისტრაციული სასჯელით ჩანაცვლება/არასრულწლოვანის გათავისუფლება	მოლდოვა

ცხრილი #4
სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედება (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე):

შერიგება	ყაზახეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში, თუ ჩადენილია მოწყვლადი პირის მიერ, მაგრამ არა მაშინ, როცა მსხვერპლი არასრულწლოვანია), მოლდოვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში, თუ დამნაშავე არასრულწლოვანია, მაგრამ არა მაშინ, როდესაც მსხვერპლია არასრულწლოვანი)
ქმედითი მონანიება	ყაზახეთი, მოლდოვა, თურქმენეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა	აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ლიეტუვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), მოლდოვა, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
სერიოზული დანაშაულის გამოძიებაში დახმარების აღმოჩენა	ესტონეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ლიეტუვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ყაზახეთი
გირაოთი გათავისუფლება	უკრაინა
ადმინისტრაციული სასჯელით ჩანაცვლება/არასრულწლოვანის გათავისუფლება	მოლდოვა

ცხრილი #5
სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან (Statutory rape) (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე):

შერიგება	სომხეთი, ბელარუსი, ლიეტუვა, რუსეთი, ტაჯიკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
ქმედითი მონანიება	სომხეთი, ბელარუსი, რუსეთი, ტაჯიკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), თურქმენეთი, უზბეკეთი
საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა	აზერბაიჯანი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), სომხეთი, ბელარუსი, ლიეტუვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), რუსეთი (სასჯელისგან გათავისუფლება მხოლოდ ქორწინების შემთხვევაში), ტაჯიკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)

სერიოზული დანაშაულის გამოძიებაში დახმარების აღმოჩენა	ლიეტუვა, უკრაინა
გირაოთი გათავისუფლება	ესტონეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ლატვია, ლიეტუვა (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
ადმინისტრაციული სასჯელით ჩანაცვლება/არასრულწლოვანის გათავისუფლება	ბელარუსი

ცხრილი #6
სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე):

შერიგება	ბელარუსი, ყაზახეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში, თუ ჩადენილია მოწყვლადი პირის მიერ, მაგრამ არა მაშინ, როცა მსხვერპლი არასრულწლოვანია), ყირგიზეთი, ლიეტუვა, მოლდოვა, რუსეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ტაჯიკეთი, უკრაინა, უზბეკეთი
ქმედითი მონანიება	სომხეთი, ბელარუსი, საქართველო, ყაზახეთი, მოლდოვა, რუსეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი
საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა	სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი ყაზახეთი, ლიეტუვა, მოლდოვა, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
სერიოზული დანაშაულის გამოძიებაში დახმარების აღმოჩენა	ესტონეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ლიეტუვა, (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), ყაზახეთი
გირაოთი გათავისუფლება	ყაზახეთი, ლიეტუვა, უკრაინა
შემამსუბუქებელი გარემოებები	ლიეტუვა
ადმინისტრაციული სასჯელით ჩანაცვლება/არასრულწლოვანის გათავისუფლება	ბელარუსი, მოლდოვა

ცხრილი #7
ქორწინების მიზნით გატაცება ან/და იძულებით ქორწინება (დამამძიმებელი გარემობების გარეშე):

შერიგება	აზერბაიჯანი, ყირგიზეთი (მათ შორის, არასრულწლოვანთან მიმართებაში), უზბეკეთი
ქმედითი მონანიება	აზერბაიჯანი, საქართველო, თურქმენეთი (მათ შორის,

	დამამძიმებელ გარემოებებში)
საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა	აზერბაიჯანი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში), თურქმენეთი, უკრაინა, უზბეკეთი
სერიოზული დანაშაულის გამოძიებაში დახმარების აღმოჩენა	ესტონეთი (მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში)
გირაოთი გათავისუფლება	უკრაინა

ცხრილი #8
ქორწინებისთვის ნებადართული ასაკობრივი ზღვარის დარღვევა (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე):

შერიგება	ტაჯიკეთი
ქმედითი მონანიება	ტაჯიკეთი, უზბეკეთი
საზოგადოებრივი საშიშროების დაკარგვა	ტაჯიკეთი, უზბეკეთი

მადლობა

წარმოდგენილი ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა Swedish Postcode Foundation-ის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში.

კვლევა ჩაატარა და ანგარიშში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ელეონორა დავიდიანმა, ორაგანიზაციის "Equality Now" დამოუკიდებელმა კონსულტანტმა. დამატებითი კვლევა და ექსპერტული ანალიზი ადგილზე არსებული მდგომარეობის შესახებ ჩაატარა თამარ დეკანოსიძემ, ორგანიზაციის "Equaltiy Now" ევრაზიის კონსულტანტმა.

საკუთარი გამოცდილებისა და სათანადო მასალების გაზიარების გზით ანგარიშში წვლილი შეიტანეს შემდეგმა ინდივიდებმა და ორგანიზაციებმა:

ჰალინა ფედკოვიჩი - ორგანიზაციის „ქალთა პერსპექტივები" უფროსი იურისტი, უკრაინა
ნადეჟდა პრიგოდა - დოქტორის კანდიდატი სამართალში, დოცენტი ყირგიზ-რუსულ სლავურ უნივერიტეტში, ყირგიზეთი
ლარისა ალექსანდროვა - გენდერის ექსპერტი, ტაჯიკეთი
ზებო შარიფოვა - „ქალი იურისტები განვითარებისათვის", ტაჯიკეთი
ვალენტინა ფროლოვა - იურისტი, რუსეთი
სტეფანია კულაევა - ექსპერტი, რუსეთი
ანაჰიტ სიმონიანი - ადამიანის უფლებების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი, სომხეთი
ნვარდ ფილიპოსიანი - სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი, სომხეთი
ვარვარა მიხაილოვა - იურისტი, რუსეთი
დანიელა მისაილ-ნიჩიტინი - საერთაშორისო ცენტრი „La Strada", მოლდოვა

ადგილზე არსებული გამოცდილებისა და პრაქტიკის გაზიარებით ანგარიშში წვლილი შეიტანეს პრაქტიკოსმა იურისტებმა და ქალების უფლებადამცველებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ორგანიზაციის "Equality Now" მიერ თბილისში, საქართველოში, 2018 წლის 19-21 ნოემბერს გამართულ შეხვედრაში:

ნვარდ ფილიპოსიანი - სექსუალური ძალადობის კრიზისული ცენტრის ხელმძღვანელი, სომხეთი
როვშანა რაჰიმოვა - პრაქტიკოსი იურისტი, აზერბაიჯანი
ირინა ალხოვკა - "გენდერული პერსპექტივები", ბელარუსი
მერლე ალბრანტი - ადამიანის უფლებების ცენტრი, ესტონეთი
აიმან უმაროვა - პრაქტიკოსი იურისტი, ფონდ "ადამიანის უფლებების იურისტების" თანა-დამფუძნებელი, ყაზახეთი
ნადეჟდა პრიგოდა - კანდიდატი სამართლის დოქტორანტურაში, დოცენტი ყირგიზ-რუსულ სლავურ უნივერიტეტში, ყირგიზეთი
ზეინ ზვირგჟდინა - ცენტრი „მარტა", ლატვია
დოვილე მასალსკიენე - ქალთა საკითხების საინფორმაციო ცენტრი, ლიეტუვა
ზებო შარიფოვა - „ქალი იურისტები განვითარებისათვის", ტაჯიკეთი
ჰალინა ფედკოვიჩი - ორგანიზაციის "ქალთა პერსპექტივები" უფროსი იურისტი, უკრაინა
ვიოლეტა ანდრიუტა - ქალთა სამართლის ცენტრი, მოლდოვა
ვალენტინა ფროლოვა - პრაქტიკოსი იურისტი, რუსეთი
ბაბუცა პატარაია - კავშირი „საფარი", საქართველო
ანა აბაშიძე - „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის", საქართველო
ანუშ ალსანიანი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებადამცველი, სომხეთ

დანართები

ცხრილი #9
სასჯელი

	გაუპატიურება	**სექსუალური ხასიათის ძალმომრეობით მოქმედება**	**სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის ქმედებების იძულება**	**16 წელს მიუღწეველ პირთან სქესობრივი კავშირი (statutory rape)**
სომხეთი	პატიმრობა 3-6 წლამდე	პატიმრობა 3-6 წლამდე	პატიმრობა 1-3 წლამდე	ჯარიმა ან პატიმრობა 2 წლამდე
სომხეთი	პატიმრობა 4-8 წლამდე	პატიმრობა 3-5 წლამდე	ჯარიმა, გამოსასწორებელი შრომა ან პატიმრობა 3 წლამდე	პატიმრობა 3 წლამდე
საქართველო	პატიმრობა 6-8 წლამდე	პატიმრობა 4-6 წლამდე	ჯარიმა ან პატიმრობა 3 წლამდე	პატიმრობა 7-9 წლამდე
უკრაინა	პატიმრობა 3-5 წლამდე	პატიმრობა 5 წლამდე	ჯარიმა ან პატიმრობა 5 თვემდე	თავისუფლების შეზღუდვა 5 წლამდე ან პატიმრობა 5 წლამდე
მოლდოვა	პატიმრობა 3-5 წლამდე	პატიმრობა 3-5 წლამდე	-	პატიმრობა 3-7 წლამდე

ბელარული	თავისუფლების შეზღუდვა 4 წლამდე ან პატიმრობა 3-7 წლამდე	თავისუფლების შეზღუდვა 4 წლამდე ან პატიმრობა 3-7 წლამდე	თავისუფლების შეზღუდვა 3 წლამდე ან პატიმრობა 3 წლამდე ჯარიმით და გარკვეული საქმიანობების აკრძალვით, ან მის გარეშე	თავისუფლების შეზღუდვა 4 წლამდე ან პატიმრობა 4 წლამდე ჯარიმით
ყაზახეთი	პატიმრობა 3-5 წლამდე	პატიმრობა 3-5 წლამდე	ჯარიმა, გამოსასწორებელი შრომა ან საზოგადოებრივი შრომა, ან თავისუფლების შეზღუდვა 1 წლით ან პატიმრობა 1 წლით	თავისუფლების შეზღუდვა 5 წლამდე
ყირგიზეთი	მესამე კატეგორიის თავისუფლების აღკვეთა	მესამე კატეგორიის თავისუფლების აღკვეთა	გარკვეული საქმიანობებით ან თანამდებობის დაკავების აკრძალვა, ან გამოსასწორებელი შრომა, ან ჯარიმა, ან პირველი კატეგორიის პატიმრობა	მეოთხე კატეგორიის თავისუფლების აღკვეთა
ტაჯიკეთი	პატიმრობა 3-7 წლამდე	პატიმრობა 5-7 წლამდე	ჯარიმა, გამოსასწორებელი შრომა ან პატიმრობა 2 წლამდე	პატიმრობა 2-5 წლამდე
უზბეკეთი	პატიმრობა 3-7 წლამდე	პატიმრობა 3-7 წლამდე	საზოგადოებრივი შრომა ან გამოსასწორებელი შრომა	საზოგადოებრივი შრომა ან გამოსასწორებელი შრომა ან თავისუფლების შეზღუდვა 1-2 წლით ან პატიმრობა 3 წლამდე

თურქმენეთი	პატიმრობა 3-10 წლამდე და 2-5 წლამდე გარკვეულ ადგილზე ცხოვრების ვალდებულების დაკისრება ან მის გარეშე	პატიმრობა 2-6 წლამდე	გამოსასწორებელი შრომა ან პატიმრობა 2 წლამდე	პატიმრობა 3 წლამდე
ლატვია	პატიმრობა 4-10 წლამდე და პრობაციული ზედამხედველობა 5 წლამდე	პატიმრობა 7 წლამდე და პრობაციული ზედამხედველობა 5 წლამდე	-	პატიმრობა 5 წლამდე ან თავისუფლების დროებითი აღკვეთა, ან საზოგადოებრივი შრომა, ან ჯარიმა, 5 წლამდე პრობაციული ზედამხედველობით
ლიეტუვა	თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე	თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე	დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთა 3 წლამდე.	ჯარიმა ან თავისუფლების შეზღუდვა ან დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე
ესტონეთი	პატიმრობა 1-5 წლამდე	-	პატიმრობა 3 წლამდე	პატიმრობა 5 წლამდე
რუსეთი	პატიმრობა 3-6 წლამდე	პატიმრობა 3-6 წლამდე	ჯარიმა ან სავალდებულო შრომა ან გამასწორებელი სამუშაო, ან იძულებითი შრომა, ან პატიმრობა 1 წლამდე	სავალდებულო შრომა ან თავისუფლების შეზღუდვა ან იძულებითი შრომა 3 წლის განმავლობაში გარკვეული თანამდებობით ან საქმიანობებით დაკავების უფლების წართმევით ან მის გარეშე, ან პატიმრობა 4 წლამდე 10 წლის განმავლობაში გარკვეული თანამდებობით ან საქმიანობებით დაკავების უფლების წართმევით ან მის გარეშე

კონტაქტი:

ევროპისა და ევრაზიის ოფისი

ლონდონი, გაერთიანებული სამეფო
1 Birdcage Walk
London SW1H 9JJ
United Kingdom
ტელ: +44 (0) 20 7304 6902
ფაქსი: +44 (0) 20 7973 1292
ელ-ფოსტა: ukinfo@equalitynow.org

ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის ოფისი

ნიუ იორკი, აშშ
125 Maiden Lane
9th Floor, Suite B
New York NY 10038
USA
ტელ: +1-212-586-0906
ფაქსი: +1-212-586-1611
ელ-ფოსტა: info@equalitynow.org

აფრიკის ოფისი

ნაირობი, კენია
Bishops Garden Towers, 1st Floor
Bishops Road, Nairobi
KENYA
ტელ: +254-20-271-9913/9832
ფაქსი: +254-20-271-9868
ელ-ფოსტა: equalitynownairobi@equalitynow.org